ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკადული

140
2001



თუ გული გულობს... ◆ დონია-კისტი და სხვები. ◆ ტესტი თინეიჯერებისთვის. ◆ ვის როგორ სძინავს. ◆ რასაც მხოლოდ დღიურს გაანდობდი. ◆ სიცილის გაკვეთილი. ◆ კრასვორდები. ◆ სწავლა გერმანიაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გმირები

ტარიელ ჯანტურია

სალამი სალამს:
ხერთვისს და რუსთაველს;
რუსთაველს და არმაზს;
არმაზს და ჭეონდიდს!
ჩვენ ბევრჯერ ვიშვით
და ბევრჯერ მოვკვდით –
ეოველთვის ვცხონდით!..
სალამი სალამს:
ნინოს და თამარს;
თამარს და ნინოს;
და ისევ – თამარს!

თევდორე ხუცესს;
ჰაატა რაინდს;
ცხრა ლომგულ ძმას და
არაგველს სამასს
ეველანი აქ ვართ!
აქ არის ეველა!
შესედე: ცოტნეც
მოვარდა ჩორთით!
— საქართველოსთვის!

საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
ბიჭებო, სწორდით!..
დიდება მამულს:
ხერთვისს და რუსთაველს;
რუსთაველს და ზადენს;
ზადენს და ჭეონდიდს...
საქარველოსთვის
ჩვენ ბევრჯერ მოვკვდით,
და როცა მოვკვდით –
ეოველთვის ვცხონდით!..

„ნაკადული"

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ჟურნალი
2001 წ. № 5
გამოდის 1926 წლიდან

ნომრის შინაარსი

"ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო "ფაქტი" ---------- 2
მისცემენ თუ არა "კარლსონისა" და "პეპის" ავტორს ნობელის პრემიას? ---------- 3
ხმა მიეცით ბავშვებს! ---------- 4
დონია კიხოტი და სხვები (მოთხრობა) ---------- 5
თუ გული გულობს ---------- 8
რას და როგორ სწავლობენ შენი თანატოლები გერმანიაში? ---------- 12
თვითდამჰიპნოზებელი მონტესუმას ბაღიდან (ბუნების კარი) ---------- 14
"ოდოშხერი" ---------- 16
პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი (მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგიეს) ---------- 18
მსოფლიო კიდით კიდემდე ---------- 20
რასაც მხოლოდ დღიურს გაანდობდი ---------- 21
მამიკო, ძალიან, ძალიან გვიყვარხარ ---------- 24
ვიქტორინა "ჭკუის კოლოფებისთვის" ---------- 25
გესმის შენი ძაღლის ენა? ---------- 26
ვის როგორ სძინავს (კითხვა - თქვენი, პასუხი - ჩვენი) ---------- 27
ზაზა სამჭკუაშვილის ფათერაკიანი თავგადასავალი (კომიქსი) ---------- 29
სიცილის გაკვეთილი ---------- 31
გამოგადგები ---------- 32

გარეკანის პირველ გვერდზე ალექსანდრე სააკოვის ფოტო

რედაქტორი მანანა გელაშვილი
მისამართი: 380096, თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81 93-18-84.
ინდექსი: 76157.
ფასი სახელშეკრულებო
რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოში



ფაქტი

"ნაკადულის" საინფორმაციო საგენტო

იყოჩაღეს და კომპიუტერული ცენტრიც ჰიიღეს

გრიგოლ ხანთელის სახელობის პირველმა ექსპერიმენტულმა სკოლამ გაიმარჯვა ეუთოსა და ჰუმბოლტის ფონდის მიერ თავისუფალი ჟურნალისტიკის, პრესის განვითარების ეგიდით ჩატარებულ კონკურსში. გამარჯვებულებმა ჯილდოდ კომპიუტერული ცენტრი და ტექნიკური ლიტერატურა მიიღეს. ცენტრი უცხოთიდან ჩამოსულმა სპეციალისტებმა დაამონტაჟეს, რომლებმაც მოსწავლეებს ტექნიკის ათვისების გასაადვილებლად სპეციალური სემინარები ჩაუტარეს.

ოქუმის სკოლა 150 წლისაა

გალის რაიონის სოფელ ოქუმის საშუალო სკოლას 150 წელი შეუსრულდა. სამურზაყანოს ამ სოფელში 1851 წელს გახსნილი სამრევლო სკოლა საერთოდ პირველი იყო მთელ აფხაზეთში. მერე და მერე სკოლები გაიხსნა ბედიაში, დიხაზურგაში, ნაბაკევში, საბერიოში, ოტობაიაში, ჭუბურხინჯში, თაგლონსა და გალში.

ახალდაფუძნებული სკოლის ეზოში მისმა მესვეურებმა ოთხი მაგნოლიის ხე დარგეს. დღეს ცამდე აზიდული მაგნოლიები ისლით დახურული ქოხის ნაცვლად, რომელშიც მღვდელი დავით მაჭავარიანი პატარა ოქუმელებს წერა-კითხვას ასწავლიდა, ქვითკირით მტკიცედ ნაგებ საშუალო სკოლის შენობას დაჰყურებს, რომელშიც მრავალი სასიქადულო ქართველი მამულიშვილი აღიზარდა და კიდევაც აღიზრდება.

ნორჩ ჟიუდოისტთა გამარჯვება

თურქეთის დედაქალაქ ანკარაში გამართულ 15-16 წლის ძიუდოისტთა მე-8 საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც 10 ქვეყნის ორასამდე სპორტსმენი მონაწილეობდა, საქართველოს წარგზავნილებმა 4 პირველი, 5 მეორე და 4 მესამე ადგილი მოიპოვეს. განსაკუთრებით ისახელეს თავი მინდია ხომიზურმა, ლაშა გუჯეჯიანმა, ჯარჯი ზვიადაურმა, თედო აბელაშვილმა (პირველი ადგილები), აგრეთვე ზაზა კედელაშვილმა, დურმიშან ბერაულაშვილმა, ვაჟა კოტორაშვილმა, ჯარჯი ფოთოლაშვილმა, ნოდარ ქათამაძემ (მეორე ადგილები), მათზე ოდნავ მოკრძალებულ წარმატებას მიაღწიეს დავით კუპრაშვილმა, არჩილ შათირიშვილმა, ლევან ჩოხელმა და მინდია აფციაურმა (მესამე ადგილები).

საკვირაო თეატრალური სკოლა

"თავისუფალი თეატრის" დამფუძნებლისა და რეჟისორის ავთო ვარსიმაშვილის გადაწყვეტილებით, თეატრში გაიხსნა საკვირაო სბავშვო თეატრალური სკოლა, რომელიც ბავშვებისთვის თეატრალური ხელოვნების გაცნობას ისახავს მიზნად.

ავთო ვარსიმაშვილი, მისი კოლეგები და მოწაფეები 12-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვებს რეგულარულად ჩაუტარებენ უფასო გაკვეთილებს თეატრის შესახებ.

ჩემპიონი სალომე ჟელია გახდა

16 წლამდე ასაკის მოზარდთა საქართველოს ჩემპიონატში ჭადრაკში, რომელიც შვეიცარული სისტემით ჩატარდა, 37 მონაწილე გოგონას შორის გამარჯვებული ბათუმელი სალომე ჟელია გამოვიდა. სალომემ 7 ქულა დააგროვა, მას ნახევარი ქულით ჩამორჩა სოხუმელი ალა ვახამია, მესამე ადგილზე კი ასევე 6,5 ქულით თბილისელი თამარ წერეთელი გავიდა. ვაჟთა შორის საქართველოს ჩემპიონი წალენჯიხელი კოკა შანავა გახდა, მომდევნო საპრიზო ადგილები კი შესაბამისად თბილისელმა მერაბ გაგუნაშვილმა და მალხაზ სულაშვილმა დაიკავეს.

საქართველოს ჩემპიონები ოქტომბერ-ნოემბერში ესპანეთის ქალაქ პამპლონაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას, მეორე ადგილზე გასულები კი – ევროპის პირველობაში, რომელიც სექტემბერში ჩატარდება საბერძნეთის ქალაქ კალიკეაში.

თელავში "კახეთმა" გაიმარჯვა

თელავში ჩატარებულ ქართული ხალხური ცეკვის საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლების რეგიონულ კონკურსში გაიმარჯვა თელავის ანსამბლმა "კახეთი" (ხელმძღვანელები კობა ოქრუაშვილი და მიხეილ ჯიდალიშვილი). ამავე კოლექტივმა დაიმახსოვრა პირველი ადგილი ჩაცმულობის ნომინაციაში. მთავარი პრიზისა და პირველი ადგილის გარდა, "კახეთმა" მოიპოვა ქართული ხალხური ცეკვის საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლების რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობის უფლება. ეს კონკურსი ფოთში გაიმართება და მისი გამარჯვებული საზღვარგარეთ გაემგზავრება.

მისცემენ თუ არა ნობელის პრემიას "ჯარლსონისა" და „პეპის" ავტორს?

ალბათ, არ არსებობს ქვეყნად ადამიანი, დიდი თუ პატარა, ასტრიდ ლინდგრენის სახელი რომ არ გაეგონოს და, რაღა თქმა უნდა, არ არსებობს ბავშვი, მისი "ჯარლსონი", "პეპი გრძელი წინდა", "მიო, ჩემი მიო", "ლიუნბერგელი ემილი", "ლომგული ძმები", "მაწანწალა რასმუსი", "რონი" თუ სხვა საოცარი ნაწარმოებები რომ არ წაეკითხოს.

9 3 წელს მიღწეული ლინდგრენი ოთხმოცამდე წიგნის ავტორია, მისი გმირები მსოფლიოს 70 ენაზე მეტყველებენ. ამ ყველაზე ცნობილი შვედი მწერლის მოღვაწეობა მრავალი ეროვნული და საერთაშორისო პრემიით აღინიშნა, მათ შორისაა: ნილს ჰოლგერსონის მედალი, პოლონელი ბავშვების ორდენი - "ღიმილის ორდენი",



ჰანს ქრისტიან ანდერსენის ოქროს მედალი, გერმანიის წიგნის ვაჭრობის საბირჟო გაერთიანების მიერ დაწესებული მშვიდობის პრემია და ბევრი სხვა. ამ ჩამონათვალს აკლია ლინდგრენის თანამემამულის, ალფრედ ნობელის მიერ დაწესებული პრემია, რომელსაც ეს შესანიშნავი მწერალი დიდი ხანია იმსახურებს. სწორედ ამ უსამართლობის გამოსწორებას ისახავს მიზნად სკანდინავიის ქვეყნებში ახლახან დაწყებული კამპანია. აქციის თაოსნებს მიაჩნიათ, რომ მიზეზი, რომლის გამოც, შეესაძლოა, ასტრიდ ლინდგრენს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრემია არ მიენიჭოს, მოცემულ კერძო შემთხვევაში ყოვლად უსაფუძვლოა. გვინდა შეგახსენოთ, რომ ნობელის პრემიის მინიჭებისას უპირატესობას ახალ ნაწარმოებებს აძლევენ, ხანდაზმულ მწერალს კი ბოლო ათი წლის განმავლობაში ახალი არაფერი დაუნერია.

ნუთუ დანარჩენი წლების მანძილზე შექმნილი დიდებული საბავშვო წიგნები არ კმარა იმისათვის, რათა მათ შემქმნელს, თუნდაც გამონაკლისის სახით, მიეკუთვნოს ეს პრემია?! "თუ ასტრიდ ლინდგრენი ნობელის პრემიას არ მიიღებს, ეს ისეთივე სკანდალს გამოიწვევს, როგორიც თავის დროზე იბსენის უპრემიოდ დატოვებას მოჰყვა", — განაცხადა ცნობილმა შვედმა მწერალმა, ლინდგრენის მხარდასაჭერი კამპანიის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ჯოუსთენ გარდერმა.



მოკლე დროში აქციის მესვეურებმა 100 ათასი ხელმოწერა შეაგროვეს (45 ათასი ნორვეგიაში, 35 ათასი — შვედეთში), ეჭვი არ არის, სადღეისოდ ეს რიცხვი ასჯერ და მეტადაც გაიზრდებოდა, იმიტომ რომ ასტრიდ ლინდგრენის დაჯილდოების მოთხოვნას ჯერ მარტო მილიონობით ყველა ასაკის მკითხველი შეუერთებს ხმას და მათ შორის ვიქნებით ჩვენც, ჟურნალ "ნაკადულის" თანამშრომლები და მკითხველები.

ერთხელ, მწერლის 80 წლისთავთან დაკავშირებით ასტრიდ ლინდგრენს ჰკითხეს, აქვს თუ არა წიგნს მომავალიო. აი რა უპასუხა მან: "ასეთივე წარმატებით შეიძლება ვიკითხოთ: აქვს თუ არა მომავალი პურს? ვარდს, საბავშვო სიმღერას, მაისის ნვიმას?.. უმჯობესია ვიკითხოთ: აქვს თუ არა მომავალი ადამიანს? და თუ მას იგი აქვს, მაშ წიგნსაც ჰქონია. იმიტომ, რომ რაკიღა ჩვენ ერთხელ ვპოვეთ წიგნში სიხარული და ნუგეში, უამისოდ ველარ გავძლებთ... ძალზე ბევრისთვის წიგნები ისევე საჭიროა, როგორც პური და მარილი. და ასე იქნება მუდამ, რამდენი კასეტა თუ ტელევიზორი და სხვა შემცველელებიც უნდა გამოიგონონ..."

უნდა ვიფიქროთ, რომ შვედეთის აკადემია გაითვალისწინებს ასტრიდ ლინდგრენის შემოქმედების მილიონობით დიდი თუ პატარა თაყვანისმცემლის მოთხოვნას და შესანიშნავ მწერალს ნობელის პრემიას მიანიჭებს.

თვალნაზე ფიქრითა და ზრუნვით

ხმა მიეცით მაგშვებს!

2001 წლის 26 აპრილს ოფიციალურად დაიწყო და მიმდინარეობს საყოველთაო მობილიზაციის კამპანია "ხმა მიეცით ბავშვებს", რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყველა წევრის მობილიზებას მთელ პლანეტაზე ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ კეთილშობილური მოძრაობის მოთავეები შემდეგი ათი პრინციპის გარშემო გაერთიანებისკენ მოუწოდებენ მსოფლიო თანამეგობრობას: არცერთი ბავშვი ყურადღების გარეშე; ბავშვები უპირველეს ყოვლისა; ბრძოლა შიდსის წინააღმდეგ; ბავშვების ჩაგვრისა და ექსპლუატაციის შეწყვეტა; მოვუსმინოთ ბავშვებს; განათლების ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისათვის; დავიცვათ ბავშვები ომისაგან; გავუფრთხილდეთ გარემოს ბავშვებისათვის; ბრძოლა სიღატაკის წინააღმდეგ: ინვესტიციები ბავშვებისათვის.

მოძრაობის ერთ-ერთ სულისჩამდგმელს, თავისუფლებისათვის ცნობილ მებრძოლს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტს ნელსონ მანდელას მიაჩნია, რომ მსოფლიოს ლიდერებმა უნდა გააცნობიერონ, რომ დადგა ჟამი მოქმედებისა, ბავშვთა უფლებების რეალობად გადაქცევისა. მანდელამ მოუწოდა კამპანიის მონაწილეებს ძალისხმევა არ დაიშურონ იმისათვის, "რათა ეს სამყარო უკეთეს ადგილად აქცეონ ბავშვებისათვის". მანდელას გარდა, კამპანიას სათავეში უდგანან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კოფი ანანი და მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი ბილ გეიტსი. მოძრაობის დამფუძნებელთა შორის არიან აგრეთვე გაერის ბავშვთა ფონდი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "გადავარჩინოთ ბავშვები", სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

"საყოველთაო მოძრაობა ბავშვებისათვის" ეგიდით წარმართული ძირითადი კამპანია "ხმა მიეცით ბავშვებს" გაზაფხულ-ზაფხულის განმავლობაში ჩატარდება, კულმინაციას კი 19-21 სექტემბერს მიაღწევს. ამ დღეებში ნიუ-იორკში გაიმართება ბავშვებისადმი მიძღვნილი გაერის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია, რომელზეც საყოველთაო კამპანიის შედეგები იქნება წარმოდგენილი. სესია მიეძღვნება ... ამკიცებს ძირითად დოკუმენტს, რომელიც ბავშვთა კეთილდღეობაზე ზრუნვის სამოქმედო გეგმად იქცევა ყველასათვის, ვინც გამოეხმაურება მოწოდებას "ხმა მიეცით ბავშვებს".

მოძრაობაში უკვე ჩაებნენ ბავშვის უფლებათა დამცველი უდიდესი ორგანიზაციები მსოფლიოს სხვადასხვა კვეყნებში. დღეს უკვე ცხადია, რომ საყოველთაო მოძრაობა ბავშვებისათვის არის ერთიანი ძალა, რომელიც მოწოდებულია შექმნას ისეთი მსოფლიო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული ბავშვის უფლება დაცვასა და თვითრეალიზაციაზე. საყოველთაო მოძრაობა ბავშვებისათვის "ხმა მიეცით ბავშვებს" წარმოადგენს ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის გაშლილი მოძრაობის ირგვლივ შეკავშირების, ძალისხმევის გაერთიანების, ამ მოძრაობის

ის სპეციალური სესია, რომელზეც საყოველთაო კამპანიის შედეგები იქნება წარმოდგენილი. სესია მიეძღვნება ... ამკიცებს ძირითად დოკუმენტს, რომელიც ბავშვთა კეთილდღეობაზე ზრუნვის სამოქმედო გეგმად იქცევა ყველასათვის, ვინც გამოეხმაურება მოწოდებას "ხმა მიეცით ბავშვებს".

მოძრაობაში უკვე ჩაებნენ ბავშვის უფლებათა დამცველი უდიდესი ორგანიზაციები მსოფლიოს სხვადასხვა კვეყნებში. დღეს უკვე ცხადია, რომ საყოველთაო მოძრაობა ბავშვებისათვის არის ერთიანი ძალა, რომელიც მოწოდებულია შექმნას ისეთი მსოფლიო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული ბავშვის უფლება დაცვასა და თვითრეალიზაციაზე. საყოველთაო მოძრაობა ბავშვებისათვის "ხმა მიეცით ბავშვებს" წარმოადგენს ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის გაშლილი მოძრაობის ირგვლივ შეკავშირების, ძალისხმევის გაერთიანების, ამ მოძრაობის

გაფართოება-განმტკიცების კიდევ ერთ მცდელობას. მოძრაობა თავის რიგებში აერთიანებს იმ ადამიანებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც მტკიცედ სჯერათ, რომ დადგა მოქმედების დრო და რომ ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობის გარეშე კაცობრიობის შემდგომი განვითარება წარმოუდგენელია.

კამპანიაში "ხმა მიეცით ბავშვებს" უკვე ჩაება მრავალი თვალსაჩინო მოღვაწე, მათ შორის არიან ნელსონ მანდელა და მისი მეუღლე, ცნობილი ბავშვის უფლებათა დამცველი გრაჩა მაშელი, გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი, სამხრეთ კორეის პრეზიდენტი კიმ დე-იუნგი, ბილ გეიტსი, რომლებიც ბავშვთა საკეთილდღეოდ მიმართული აქტიური მოქმედებისაკენ მოუწოდებენ მსოფლიოს საზოგადოებრიობას. მათ უკვე აუბეს მხარი და კამპანიაში ჩაებნენ: ჰარი ბელაფონტე, დევიდ ბეკჰემი, ჯუდი კოლინზი, მია ფეროუ, ხულიო ეგლესიასი, ანატოლი კარპოვი, ვანესა რედგრეივი, სიუზან სარანდონი, პეტრე უსტინოვი, რობი უილიამსი, როჯერ მური, ლეონ დაი, ალექსი ფერგიუსონი და მრავალი სხვა.

მოძრაობის ფარგლებში მრავალი ღონისძიებაა გათვალისწინებული, მათ შორის საგანგებო სატელევიზიო კლიპების ჩვენებაც. მათ, ვისაც სურვილი აქვთ, თავისი ხმა შეუერთონ მოძრაობას "ხმა მიეცით ბავშვებს", სთავაზობენ თითი დააჭირონ კომპიუტერის ღილაკს და ეწვიონ "საყოველთაო მოძრაობა ბავშვებისათვის" ინტერნეტგვერდს WWW.gmfc.org და გამოხატონ მოძრაობის მხარდაჭერა. გარდა ამისა, შეიძლება წერილის ელექტროფოსტით გაგზავნაც.

"ხმა მიეცით ბავშვებს" კამპანიის შედეგები შეჯამდება და ამ სახით წარედგინება ბავშვთა საკითხებისადმი მიძღვნილ გაერის გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიას, რომელიც 2001 წლის 19-21 სექტემბერს გაიმართება ნიუ-იორკში.

მანანა გელაშვილი

დონიჯ კიხოტი და სხვები

მოთხრობა

თავის ოთახში განმარტოდა. საკარძელში ჩაჯდა და თვალები დახუჭა. ერთბაშად ყველაფერი მოუდუნდა, – რა თქმა უნდა, განზე უნდა გავდეკ, უნდა დავივიწყო არჩილი, ამოვიგდო გონებიდან, გულიდან... ჰმ! თუ შევძელი, კი... რა სულელი ვარ, თავიდანვე როგორ ვერ მიგზავნი? არ ვიცი, არაფერი არ ვიცი... კი მაგრამ, მაკას ხომ ზაზა მოსწონდა? მერე რა? ახლა არჩილი მოსწონს, მოსწონს და ალბათ უყვარს კიდეც... და ალბათ არჩილსაც...

ვგიან ჩაეძინა. დილით რომ ადგა, ანაზდად უცნაური მიუსაფრობა და სიცარიელე იგრძნო. ისევე, ღამის პერანგის ამარა მიუახლოვდა ფანჯარას. ეგონა დაქცეულ სამყაროს დაინახავდა. ჰმ, არაფერიც არ შეცვლილიყო: ისევ ისე ფუფფუფუბდა ქუჩა, როგორც გუშინ, იმის წინ, უფრო ადრე, ისევ ისე უნდილად ტკბერთავდა ბოსტნეულის მაღაზიის მუშა კომბოსტოს, ისევ ისე მიარბენინებდნენ საბავშვო ბაღში ძილდაკლებულ ბავშვებს დედები, ისევ ისე ჩამომსხდარიყვნენ აივნის მოაჯირზე მტრედები... კუთხეში ხნიერი კაცი იებს ჰყიდდა. გაახსენდა არჩილი რომ დაზედა სკოლასთან იის კონით ხელში, ქეთის ნათქვამიც გაახსენდა: – რას ამბობ, ბექას ყვავილებს დაჭერინებ ხელში, ან სხვა ჩვენ ბიჭებს?! თუმცა ზაზამ შენთვის მოსართმევად შეიძლება კი დაიჭიროს... ისე რა არის, არა? რა კარგი ბიჭია ზაზა, როგორ უყვარხარ, მგონი პირველი კლასიდანვე, შენ კი... იცი, იები რომ გამოგიწოდა არჩილმა, ცოტათი შემშურდა კიდეც... თამარს ცრემლები მოერია. ის იები წიგნში ჰქონდა სათუთად შენახული. ცრემლები ნიკაპქვეშ შეერიდნენ.

გაკვეთილზე უგრძნობლად იჯდა. ძალიან ცდილობდა არჩილზე არ ეფიქრა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ბოლოს და ბოლოს რა მოხდა?! არ მოვწონვარ არჩილს და რას ვერჩი, რას ვთხოვ, ნეტავი? ანდა როდის ერთხელ მითხრა, მიყვარხარო? თვითონ მოვიგონე... რას ვემართლები, ან რას ვებუტები? მაგრამ... მაგრამ რომ მიყვარს?..

დასვენებაზე ქეთის დაამარტოხელა.

– რა გჭირს, თამარ?

– მე? არაფერი, რა უნდა მჭირდეს? გეჩვენება.

– ჰო, რა თქმა უნდა, წყალში რომ იხრჩობოდე, არ დაიძახებ, მიშველეთო, ცეცხლი რომ გეკიდოს, არავის გააგებინებ, ვიწვიო.

თამარს გაელიმა, თავის თავს კი შეუძახა: – ერიჰაა! დონია კიხოტ, რა არის ახლა ეს?! ქვეყანას უნდა გააგებინოთ თქვენი ტკივილი?! საკუთარ თავს თუ ვერ გაუმკლავდით, ქარის წისქვილებს როგორღა უნდა ებრძოლოთ?! მორჩა! არც არავინ მიყვარს, არც არაფერს ვდარდობ და საერთოდ, არაფერი არ მომხდარა...

საღამო ხანს არჩილმა დაურეკა.

– დიახ!

– თამარ, როგორა ხარ?

– არა მიშავს... – ხმა აუთრთოლდა.

– რა იყო, მოხდა რამე? – შეშფოთდა არჩილი.

– არა, არაფერი... უბრალოდ... აღარასოდეს დამირეკო... – უთხრა და ყურმილი დაკიდა. ტელეფონმა მაშინვე კიდევ დარეკა. თამარმა ყურმილი გადადო, მერე ძმებს უთხრა, არჩილმა თუ დარეკოს, უთხრით სახლში არ არის-თქო.

დილით, როგორც ყოველთვის, ძმებმა კისრისტეხით ჩაირბინეს კიბე და ეზოში გავარდნენ. ის იყო თამარმაც ჩამოათავა საფეხურები, რომ უკანვე შემოცვივდნენ სადარბაზოში და შეიქმულის იერით აუწყეს დას, აკაკის ქვეშ არჩილი დგასო. რამდენჯერ მდგარა აქ არჩილი თამარის მოლოდინში. არასოდეს გადაუცილებია დათქმული დროსთვის. გადმოიხედავდა თამარი ფანჯრიდან, გაუღიმებდა, ხელს დაუქნევდა და სულმოუთქმელად ჩაირბენდა ძირს. ორივეს რაღაც ნათელი გადაუვლიდა სახეზე, აუცილებლად შეჰხიმებდნენ ერთმანეთს და გაუყვებოდნენ გზას, ახლა კი... თამარი წუთით შეცბა, მერე გარსევანი და გულბაათი აქეთ-იქიდან ამოიყენა და აჩქარებული ნაბიჯით გავიდა ეზოში, სწრაფად ჩაუარა არჩილს. არჩილმა რომ დაინახა, მთაკენ დაიძრა, მაგრამ თამარმა კიდევ უფრო აანჩარებინა ფეხი ძმებს და ეზო ლამის სირბილით გადაჭრეს. ქუჩაში რომ გავიდნენ, გარსევანმა და გულბაათმა ხელი გაუშვებინეს, რა იყო, რა მაგრად მოგვიჭირე, გვეტკინაო. სახტად დარჩენილი არჩილი შუა ეზოში იდგა და ვერაფერი გაეგო.

ის დღე იყო და ის. თამარს არჩილისთვის თვალი არსად მოუკრავს. რა თქმა უნდა, არჩილი ხვდებოდა, რომ რაღაც მომხდარიყო, რომ თამარის ასეთ საქციელს ჰქონდა მიზეზი. ათას რამეს ფიქრობდა, იქნებ სულაც სხვა მოეწონაო, იქნებ მე ვაწყენინე რამეო, იქნებ შინ დაუშალეს ჩემთან შეხვედრაო, მაგრამ იმასაც ფიქრობდა, რაც უნდა მომხდარიყო, მაინც შეიძლებოდა ადამიანურად ახსნაო და თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. მტკივნეულად განიცდიდა მომხდარს, ეჩვენებოდა, რომ ყველაფერმა აზრი დაკარგა, ვეღარც წარმოედგინა, როგორ არსებობდა ადრე, ვიდრე თამარს გაიცნობდა. როცა ძალიან მოენატრებოდა, მისი ტელეფონის ნომერს აკრეფავდა, ხმას გაიგონებდა და მაშინვე კიდებდა. რამდენჯერმე სკოლასთანაც მივიდა, მოპირდაპირედ, ტექნიკუმის შენობაში შევიდოდა და იქიდან უყურებდა მაღვიძთ. შეამჩნია, რომ თამარი თითქმის ყოველთვის ცალკე, გამონაპირებული მიდიოდა ქუჩაში. რამდენჯერმე დააპირა, რაც იყოს, იყოს, გადავლახავ თავმოყვარეობას, დავივიწყებ წყენას, მივალ და პირდაპირ ვკითხავო, მაგრამ რაღაც ძალა უკანვე ეწეოდა.

თამარსაც ძალიან გაუჭირდა. თითქოს მოერია თავს, თითქოს ტკივილიც ჩაუყურჭა, მაგრამ... არჩილის სახეცა და სახელიც მაინც გამუდმებით თან ახლდა, მაინც სულ უტრიალებდა ვონებაში მასზე ფიქრი, კიდევე უფრო გულჩაკეტილი და უთქმელი გახდა, ყველას გაურბოდა, მარტოობას ეშურებოდა.

* * *

მეათე "ა"-მ წარმატებით ჩააბარა გამოცდები. თუმცა ლოლაბრიჯიდა ბევრს იმუქრებოდა, ცოდნა არავისთვის დაუკარგავს. თამარმაც და მაკამაც ფრიადებზე დაამთავრეს სასწავლო წელი. ცოტა ხანში ქალაქში აღარავინ დარჩა. ყველა მიიფანტ-მიიფანტა. თამარს სამ დღეში ნოვოსიბირსკში უწევდ წასვლა მოსწავლე მათემატიკოსთა ოლიმპიადაზე და სამზადისით იყო დაკავებული. იმ დილით ბაზრიდან დაბრუნებულმა დედამ ამბავი მოუტანა, მაკა სანებლიძე შემხვდა, დედა ჰყოლია ძალიან ცუდად, საავადმ-

დასასრული. იხ. ნაკადული №3, 4

ყოფოში უწევს თურმე, მამა ორი თვით მივლინებაში ყოფილა წასული, ჩემს მეტი მომყველი არავინ ჰყავს, თავზე ვადგავარ და ამაც ისე მარტო მყავს დატოვებულიო... მოკლედ, დიდ გაწამაწიაში ყოფილა. თამარი დაუფიქრებლად წამოდგა, მაკასთან მივდიარო, დაიბარა და რამდენიმე წუთში მასთან გაჩნდა. ყველაფერი გამოჰკითხა, დაამშვიდა: – არ შეგეშინდეს, ყველაფერი კარგად იქნება... შენ დედას მიხედე, გელას ჩვენთან წავიყვან, სოფელში, გარსევანი და გულბაათიც იქ არიან, ბებია მოუვლის. ერთ აი დღეში მეც ჩამოვალ ნოვოსიბირსკიდან და შეგიშველები, თუ გაჭირდეს, დედაჩემთან დარეკე და...

— რა ვიცი აბა, ისეთი დროა, ყველა გაკრეფილია ქალაქიდან, არც დეიდაჩემია და არც სხვა ახლო ნათესავი ვინმე, არც მამას მინდა შევუთვალო ეს...

— ნუ გეშინია, რამეს მოვიფიქრებთ.

შინ მისულმა არჩილს დაურეკა.

— თამარ, შენა ხარ? – გაოცდა არჩილი.

— მაკას დედა ჰყავს ავად, მე ზეგ ნოვოსიბირსკში მივდივარ და... ერთი სიტყვით, დახმარება სჭირდება მაკას, – სულმოუთქმელად მიაყარა თამარმა და სასწრაფოდ დაუკიდა ყურმილი. ერთიანად კანკალებდა. ტელეფონმა დარეკა. არჩილი იყო.

— თამარ, რომელ საავადმყოფოში უწევს მაკას დედა? თუ სულ თავზე ადგას, შინ ალბათ ვერ დავიჭერ და...

— ჰო, რა თქმა უნდა... მეცხრეში, თერაპიული განყოფილება, მეშვიდე პალატა... მაკას ნე ეტყვი, მე თუ დაგირეკე... – ისევ სწრაფად დაამთავრა თამარმა ლაპარაკი.

თამარი ნოვოსიბირსკიდან რომ დაბრუნდა, დეიდა მარიამი უკვე გამოკეთების გზაზე იდგა. რამდენჯერმე ინახულა, ხილი და წვენები მიუტანა, რაღაც უშოვარი წამალი უშოვნა მამის აბსანაგების დახმარებით. გელასაც ჩააკითხა სოფელში, დეიდა მარიამს ამბავი ჩამოუტანა, მშვენივრად გრძნობს თავს, ოღონდ თქვენი დარდი აქვსო.

— თამარ, შვილო, არ ვიცი პირდაპირ, როგორ გადაგიხადო მადლობა, – ეუბნებოდა მომჯობინებული დეიდა მარიამი და გასიფრიფანებულ ხელს ხელზე უსვამდა. მართლაცო, ეთანხმებოდა დედას მაკა.

ერთხელაც, როცა დეიდა მარიამის გამოწერამდე რამდენიმე დღეა რჩებოდა, თამარმა მინდვრის ყვავილები იყიდა და საავადმყოფოში წაიღო. ის იყო მეშვიდე პალატას მიუახლოვდა, რომ იქიდან გაღიმებული მაკა და არჩილი გამოვიდნენ. თამარი დაიბნა. აღარ იცოდა საით გაეხედა, ხელები სად წაეღო.

— აი, თამარიც მოვიდა, – შეეგება მაკა.

— გამარჯობა, თამარ! – ხმადაბლა მიესალმა არჩილი.

— გაგიმარჯოს, არჩილ!

— იცი, თამარ, ყველაფერი კარგად არის, დილით პროფესორმა კიდევ ერთხელ გასინჯა დედა და ასე თქვა, ხვალ შეგიძლიათ გაიყვანთოო, – მიახარა მაკამ. – მე არჩილს გავაცილებ და ახლავე მოვბრუნდები.

— ნახვამდის! – დაეშვიდობა არჩილი.

— ნახვამდის!

პალატაში კი შევიდა, მაგრამ ვერც დეიდა მარიამი დაინახა და ვერც სკამი, რომელზედაც უნდა დაჯდარიყო.

— თამარ, რა დაგემართა? - დეიდა მარიამის შეშფოთებულმა ხმამ გამოარკვია.

— არაფერი... არაფერი... მაკამ მითხრა, გაწერის ნება დაურთავთ...

— აა, შეგხვდნენ? შენც იცნობ არჩილს? ძალიან კარგი ბიჭი ყოფილა, ყურადღებიანი... სიმართლე გითხრა, იმედი დაკარგული მქონდა, მეგონა, ვეღარ დავდგებოდი ფეხზე, მაგრამ, როგორც ხედავ, არა ვყოფილვარ განწირული... მართალია, მაკა შეეიკალი, მაგრამ... შენც როგორ გაწვალდი, ჩემი თამარ. რაღა დაგიმალო, და დარწმუნებული არა ვარ, თუ მაკაც ასეევე მოიქცეოდა შენს ადგილზე.

— არა, რატომ, დეიდა მარიამ?

— რა ვიცი, შვილო, აბა... ახლა უკვე გელას ჩამოყვანაც შეიძლება, თორემ ალბათ, შეაწუხა თქვენება... ძალიან კი მომეწყინა ის გადარეული.

— ზეგ ჩამოგიყვანთ, დეიდა მარიამ, მერე მეც თქვენ მივდივარ და...

ამასობაში მაკაც დაბრუნდა.

— შვილო, აი თამარი ამბობს, გელას ზეგ ჩამოვიყვანო. დაღლილი კი ხარ, მაგრამ იქნება ზეგისთვის ნამცხვრები გამოგეცხო, არჩილსაც უთხარი მოვიდეს და შინაურულად აღვნიშნოთ ჩემი სააქაოს მობრუნება.

— კი, დედა, როგორც შენ გესიამოვნება.

შეფიქრიანებული წამოვიდა თამარი საავადმყოფოდან. სულის სიღრმეში მიჩქმალულმა ტკივილმა თავი შეახსენა და ააფორიაქა.

საუცხოო ნამცხვრები გამოეცხო მაკას, თამარი იღიმებოდა, რომ მოვკვდე, ასეთს ვერ გამოვაცხობო. დეიდა მარიამი ლოგინში ნახევრადწამომჯდარი მონაწილეობდა საუბარში. გელა არავის აცლიდა ლაპარაკს, სოფლის ამბებს ყვებოდა. დედამ რამდენჯერმე უთხრა, სხვებსაც დააცადეო; გაწერდებოდა კიდევაც, მაგრამ მეორე წუთს რაღაც ახალი გაახსენებოდა და ისევ ჩამოართმევდა სიტყვას, მაკას თუ არჩილს. თამარი ნაკლებად ლაპარაკობდა, თუ უშუალოდ მას არ მიმართავდნენ, ხმას არ იღებდა. ხოლო როცა ლაპარაკობდა, გრძნობდა, რომ არჩილი თვალს არ აცილებდა, და იბნეოდა, გაქცევა უნდებოდა. მალე დაღლილ დეიდა მარიამს ჩაეძინა. მაკა და თამარი სუფრის ალაგებას შეუდგნენ, ცდილობდნენ არ ეხმაურათ.

— რომ იცოდეთ, რა კარგი ბიჭები იქნებით, მოშლილ ონკანს რომ გააკეთებდეთ, თორემ რამდენი ხანია ასე წვეთავს, – გამოუწინა მაკამ საქმე არჩილსა და გელას.

ბიჭები ჯერაც ონკანით იყვნენ დაკავებულები, როცა მაკა და თამარი საქმეს მორჩნენ და აივანზე გავიდნენ. ზაფხულის ბუღით დმბიმებული საღამო იდგა. სახლის ძირში მიგდებული გაქუცული ძალი ენაგადმოგდებული ქასქასებდა. სიცხისაგან შეღონებული მეზობლები ეზოს რწყავდნენ, იქნებ ცოტა მაინც აგრილდეს და გვეშველოს, სული მოვთქვათო.

— თამარ, – წამოიწყო მაკამ, – მინდა ერთი რაღაცა გკითხო... მე და შენ ხომ თითქოს არასდროს არა ვყოფილვართ მაინცდამაინც დიდი მეგობრები და... რატომ... რატომ გადაგვეევი მე და დედაჩემს?

თამარი მოულოდნელობისაგან გაშრა, დაიბნა, შუბლი შეიკრა და გაკვირვებით მიაჩერდა მაკას, გულში რაღაცა ჩასწყდა.

— რა ვიცი... ალბათ უბრალოდ იმიტომ, რომ შენ გიჭირდა... აბა, სხვა რატომ?

— მაგიტომ, თუ?.. მაკამ ვეღარ დაამთავრა. ამ დროს გელაც თავზე დაადგა, წამოდით, ნახელავი შეგვიმოწმეთო.

თამარს გულზე მოხვდა მაკას ის "თუ". რა იფიქრა მაკამ, რისი თქმა უნდოდა?! უნდოდა ჩაჰკითხვოდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო. ეზოში გასავეთებული ნაყინის გამყიდველი შემობორიალდა. გელა უშალ ძირს დაეშვა და ნაყინი ამოარბენინა. თამარი გონს ვერ მოსულიყო და, სანამ მაკამ არ შეახსენა, ისევე გაუხსნელი ეჭირა ნაყინი. ხელი უსიამოვნოდ გაეწება, თითები უნებურად გაფარჩხა, ჩამომდნარ ნაყინს მეორე ხელი შეუშვირა, გაღიზიანდა, ადგა, ნაყინი სანაგვეში ჩააგდო და ხელები გადაიბანა. აივანზე კი დაბრუნდა, მაგრამ აღარ დამჯდარა. წავალო, მაკას უთხრა, არჩილსა და გელას დაეშვიდობა და კარისკენ წავიდა. მაკამ კიბის თავამდე გაიცილა.

წამოვიდა თამარი და თან წამოიყოლა ის საშინელი "თუ". მთაშიც გუნებამოწამლული წავიდა. ისე დაიარეს აჭარა-მესხეთი, იმ უცნაური სიმძიმისგან ვერ განთავისუფლდა და უკან დაბრუნებულმაც თან ჩამოიყოლა.

როგორ უხაროდა ხოლმე პირველი სექტემბრის დადგომა, მონატრებული ამხანაგებისა და მასწავლებლების ნახვა, როგორ უყვარდა პირველკლასელების თვალის დევნება! ახლა კი... იქნებ გულბაათი და გარსევანი რომ არა, სულაც არ წასულიყო სკოლაში პირველ დღეს. სკოლის წინ გამართულ მიტინგზე დირექტორი ახალი სასწავლო წლის დაწყებს ულოცავდა გოგო-ბიჭებს. თამარმა ძმები წინ გაუშვა, თვითონ კი უკან მიდგა, მერეღა დაინახა, რომ იმ ჭერმის ქვეშ დამდგარიყო.სიყვითლეშეპარული ხე სევდიანი ჩანდა. გაახსენდა, როგორ უდარდელად მშვენიერი იყო ჭერამი გაზაფხულზე და გაეღიმა. მიკროფონი დრო და დრო ვეფხვს იწყებდა და მოსწავლეების გასახარად სიტყვას აწყვეტინებდა დირექტორს. "რად უნდა ასე ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი"?! – ღიზიანდებოდა თამარი. "ნუთუ მეც ასეთი ვიყავი ოდესღაც?" მოუსვენარ, გაფშეკილ ნაწნავებიან პირველკლასელ გოგონას მიაჩერდა, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, სკოლაში შეედგა ფეხი. თვალით თანაკლასელები მოძებნა. აგერ ზაზა, როგორ შეწუხებული იხედება აქეთ-იქით, ალბათ მას ეძებს, ქეთი ბექას ჩამოპკიდებოდა მკლავზე. მაკაც იქვე იდგა, ჯინჯოლავას ელაპარაკებოდა რაღაცას. ზარაქაძეს თმები შეეჭრა და კალანდაძე და ბარამიძე მის ახალ ვარცხნილობას აფასებდნენ...

ზაზამ გარსევანსა და გულბაათს მოჰკრა თვალი, ჰკითხა, თამარი საღღა არისო და მისკენ გამოიკვლია გზა.

— გამარჯობა, თამარ!

— გაგიმარჯოს, ზაზა!

— მზე მოგკიდებია.

— ჰო.

— კმაყოფილი ხარ? მესხეთშიც იყავით?

— კი.

— აქ სად დამდგარხარ, წამოდი, ყველანი იქ ვართ.

— ჰო, რა თქმა უნდა.

ზაზას გული ჩასწყდა. იგრძნო, რომ თამარს ძალიან გასჭირვებოდა. თანაკლასელებისკენ წავიდნენ. გადაეხვევნენ თამარს, გადაჭაოცნეს, მზემოკიდებული კარგად გამოიყურებინო, შეაქეს, მერე ისიც აღნიშნეს, რა თქმა უნდა, მთის ზზე სულ სხვააო. ამასობაში ზარიც დაირეკა და თამარმა შვებით ამოისუნთქა. ჯერ პირველკლასელები დაიბრნენ, მერე ნელ-ნელა ყველა ჩამორიგდა თავ-თავის კლასებში. ზაზა წამდაუწუმ თვალს აპარებდა თამარისკენ, რომელიც კი იჯდა გაკვეთილზე, მაგრამ არც არაფერი აინტერესებდა და არც არაფერს გრძნობდა.

— კახა, იმ შენი მეზობლის ტელეფონის ნომერი მომეცი, – მიუახლოვდა კახას გაკვეთილების შემდეგ ზაზა.

— არჩილის? რად გინდა?

— ეგ მე ვიცი, მიდი ჰა, მითხარი!

ქუჩიდან დარეკა.

— არჩილ, ზაზა ვარ, კახასა და მაკას კლასელი, თუ გახსოვარ...

— ჰო, ზაზა, გისმენ, რა ამბავია?

— ისეთი არაფერი, შენი ნახვა მინდოდა, რაღაც სათქმელი მაქვს.

— კი ბატონო, როცა გინდა.

— ახლა შეგიძლია?

— კი.

— მაშინ ნახევარსაათში შენს კორპუსთან დაველოდები.

არჩილი რომ ჩამოვიდა, ზაზა უკვე ელოდებოდა. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, ცალი ყბით მოიკითხეს ერთმანეთი და მერე ზაზამ უთხრა, სადმე მყუდრო ადგილზე გავიდეთო. არჩილმა დაგრეკვას გადარჩენილი ძველი ბარაკების უკან გაიყვანა.

— გისმენ!

ზაზას არაფერი უთქვამს გაუშალა და სილა გააწნა. გაოცებულმა არჩილმა უმალ უპასუხა, ქვევიდან ზევით უთავაზა ყბაში. ზაზამ მუცელში მოუხვალა მარჯვენა. არჩილი წამით მოიხარა, გასწორდა და ისევ ყბაში დარტყმით უპასუხა. დარეტანიბული ზაზა წაბარბაცდა.

— შეგიძლია მითხრა, რაზე ვჩხუბობთ? – ისარგებლა პაუზით არჩილმა.

— რატომ დახატე მაკა? – ზაზამ სისხლი გადაყურთხა.

— ა�ა... შენ რა, მაკა გიყვარს?

— არა.

— მოიცა, მოიცა, ვერაფერი ვერ გავიგე... თუ ასეა, მაკას პორტრეტი რაღა შუაშია? მაკა იმიტომ დავხატე, რომ შემომიჩნდა, დამხატე და დამხატეო, პორტრეტი მაინც დასახატი მქონდა გამოფენისთვის და...

— აბა ის წარწერა რაღა იყო?

— რა წარწერა?

— მაკას პორტრეტის წარწერა – "ქალიშვილი, რომელიც მიყვარს"?

— არ გამაგიჟო, პორტრეტს ეგ წარწერა ჰქონდა? თქვენ რომ იყავით, იმის მეორე დღეს მეც მივედი გამოფენაზე და... ჩვეულებრივი, ჩემი ხელით დაწერილი წარწერა ჰქონდა – "ქალიშვილის პორტრეტი"... არ ვიცი, ძმაო, აზრზე არა ვარ, საიდან უნდა გაჩენილიყო სხვა წარწერა...

— მოიცა, მოიცა... მე მგონი, რაღაცას ვხვდები...

— სამაგიეროდ, მე ვერ ვხვდები ვერაფერს... შენ მითხარი, მაკა არ მიყვარსო, ხომ ეგრეა? მაშ რაღას მეცი, მაკა რატომ დახატეო? მოდი, რა, მართალი მითხარი, შენ მაკა გიყვარს?

— არა! შენ?

— მე?! რას ამბობ, მე თამარის გარდა არასდროს არავინ მყვარებია...

— არც მე.

— შენ?!

— თამარს კიდევ შენ უყვარხარ...

— რა იცი?

— შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა ბედნიერი კაცი ხარ?

— მოიცა, მოიცა... ახლა ნამდვილად გავგიჟდები. ბიჭო! რატომ ადრე არ დამარტყი, რატომ? რაც მე დღეში ვიყავი!..

* * *

მეორე დილით, როგორც ყოველთვის, გარსევანმა და გულბაათმა კისრისტეხით ჩაირბინეს კიბე და ეზოში გავარდნენ. ის იყო თამარმაც ჩამოათავა საფეხურები, რომ უკანვე შემოცვივდნენ სადარბაზოში და შეთქმულის იერით აუწყეს დას, აკაცის ქვეშ არჩილი დგასო. თამარმა აქეთ-იქიდან ამოიყენა ძმები და აჩქარებული ნაბიჯით გავიდა ეზოში. ბებერი აკაციის ქვეშ არჩილი იდგა. მარჯვენა თვალი ჩალურჯებული ჰქონდა, პირზე კი ბედნიერი ღიმილი უთამაშებდა...

მანანა გელაშვილი

დოინა კიხოტი და სხვები

მოთხრობა

ᲛᲣ ᲒᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ...

აკი ნათქვამია, თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო, ჰოდა, რაკი თავიანთი საქმიანობის მნიშვნელობაც ესმით და მისი ავკარგისათვის პასუხისმგებლობის გრძნობაც აქვთ, ისინის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგ-მასწავლებლები ჩვენს დღევანდელ მრავალმხრივ მოუწესრიგებელ ვითარებაში საოცრად ბევრს ახერხებენ. თავიდან რესტორნისთვის განკუთვნილ ამ შენობაში განთავსებულ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ბევრი რამ კეთდება ბავშვების მიდრეკილება-ინტერესების განვითარებისთვის, მათი ნიჭის გამოვლენა-გათამამებისთვის. აქ ისინი ცოდნასთან ერთად, ქცევის კულტურასა და მოქალაქეობრივ შეგნებასაც იძენენ, მომავალი ცხოვრებისთვის კვალიანდებიან.

აქაურობა ყოველდღე ივსება ცოდნამოწყურებული, თვალებში სხივჩამდგარი გოგო-ბიჭებით. მოეშურებიან ძველებიც და ახლებიც, ისინიც, ვინც კარგა ხანია ამოიარჩია სათავისო წრე და ახლა ცოდნის არეს იფართოებს, სამომავლოდ ჩაფიქრებულ-ნაოცნებარის განსახორციელებლად საჭირო საფუძველს იმზადებს და ისინიც, ვისაც ჯერ არ გაურკვევია საკუთარი მისწრაფება-ინტერესები დ მოსწავლეთა სახლში მომუშავე წრეების საქმიანობის გაცნობის შემდეგ აპირებს არჩევანის გაკეთებას. სახლის პედაგოგები ერთნაირი სიხარულით ხვდებიან პირველებსაც და მეორეებსაც, ერთნაირი გულისყურითა და კეთილსინდისიერებით ეკიდებიან დიდად საპასუხისმგებლო საქმეს. აქ ყველაფერს ატყვია მონდომებული, ენერგიული, საქმის და ბავშვების მოყვარული, მაძიებელი და შემოქმედი ხელმძღვანელის ხელი – არ იფიქროთ, ვაჭარბებდეთ და საქებარი ეპითეტები მეტი მოვგდოდეს, არამც და არამც, მოსწავლეთა სახლის დირექტორი ქალბატონი ჯული დანელია სწორედ ასეთი გახლავთ და ამაზე, უწინარეს ყოვლისა, საქმეები მეტყველებს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მოზარდი ერთხელ მოსულიყოს მოსწავლეთა სახლში, ჩაბმულიყოს რომელიმე წრეში ან კლუბში და მერე მიეტოვებინოს იგი იმ მიზეზით, რომ აქ მოწყენილობა და უინტერესო ცხოვრებაა, ხოლო თუ ვინმე მოქცეულა ასე, თუნდაც ობიექტური მიზეზით, შემდგომში ძალზე უნანია, გული დასწყვეტია. რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, როცა შენი ტოლები "თბილისობაში", ტრადიციად ქცეულ "მოსწავლეთა დღეებში" მონაწილეობენ, წარმატებას აღწევენ "ინტელექტუალთა თამაშში", საყოველთაო მოწონებას იმსახურებენ საკუთარი სიმღერისთვის თუ მოდელისთვის, გამოფენებზე წარდგენილი ნახატისთვის, ნაჩვენები სპექტაკლისთვის; რაცა

შენ მხოლოდ მსმენელი თუ მაყურებელი ხარ და სხვებთან ერთად ტაშს უკრავ აქ აღზრდილ მუსიკოს-შემსრულებლებს, მომღერლებს, მოცეკვავეებს, მსახიობებს, პოეტებს...

ამჟამად მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის 25 დასახელების წრეებში 500-ზე მეტი სასკოლო ასაკის გოგო-ბიჭი მეცადინეობს (აქ ყველა წრე უფასოა). ბუნებრივია, გოგონები უფრო ქარგვის (ხელმძღვანელი ლიანა იოსებიძე), ჭრა-კერვის (ხელმძღვანელი მარინა ტომასოვა), ქსოვის (ხელმძღვანელი მარიამ კასიოანი), ჭადრაკის (ხელმძღვანელი გიორგი კაზარიანი) წრეებს ეტანებიან, თუმცა სახვითი ხელოვნების წრის ხელმძღვანელის რობერტ ნერსესოვის აღსაზრდელებს შორისაც მრავლად არიან გოგონები. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ბატონ რობერტისა და მისი მოსწავლეების საქმიანობა ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ მათზე უფრო ვრცლად ითქვას. მასწავლებელ-მოსწავლეების ხელით არის გაფორმებული მოსწავლეთა სახლის ინტერიერი, კლუბი, კაბინეტები მათივე ნახელავია ხოლმე დეკორაციები მოსწავლეთა თეატრის სპექტაკლების და ყოველ "თბილისობაზე" წარმოადგენილი სა-

ნახაობებისთვის. რობერტ მასწავლებლის ბევრმა მოსწავლემ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ ბავშვთა ნამუშევრების კონკურსებსა თუ გამოფენებზე ისახელა თავი, მათ შორის არიან თეონა გვასალია და ირინა ხაჩატუროვა. ეჭვი არ არის, დიდი წარმატებები ელის 9 წლის ერვანდ იადოიანს, რომლის საინტერესო ნამუშევრები ახლავე გამოირჩევა თავისებური ხედვითა და შესრულების მანერით. მოსწავლეთა სახლის პირველი სართულის ფოიეში მოწყობილ გამოფენაზე ყურადღებას იქცევს 12 წლის ნეა ჭეიშვილის, 11 წლის გიორგი პოღოსიანის ნამუშევრები (სამივე ნორჩი მხატვარი თბილისის 37-ე სკოლის მოსწავლეა. დირექტორი – ქალბატონი მედიკო ხავთასი). უთუოდ საინტერესო შემოქმედებად ჩამოყალიბდებიან 9 წლის დიმიტრი კუტალია, მისი თანატოლი ირაკლი ხეცურიანი, 12 წლის ლილი სარკაიშვილი და ბევრი სხვა.

მოსწავლეთა სახლი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობს ტრადიციულად ქცეულ "მოსწავლეთა დღეებში", რომლის ჩარჩოებში მრავალი საინტერესო და ორიგინალური ღონისძიება ტარდება. უდიდესი მოწონება დაიმსახურა, მაგალითად, იუმორისა და მოდის საღამომ, რომელზეც ბავშვებს შესაძლებლობა მიეცათ, სრულად, შეუზღუდავად გამოევლინათ საკუთარი შემოქმედებითი ნიჭი, უნარი, ცოდნა, ფანტაზია, იუმორის გრძნობა. "მოსწავლეთა დღეების" პროგრამა ყოველთვის მრავალფეროვანი და საინტერესოა ხოლმე – ინტელექტუალთა თამაში, ნორჩ შემოქმედთა შეკრება "მუზავ ჯადოქარო", მუზეუმების მონახულება, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, სხვადასხვა სახის კონკურსები, მოსწავლეთა სახლის თეატრის წარმოდგენა, შემოქმედ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები და სხვა. "მოსწავლეთა დღეებ" ძირითადად რაიონის მოსწავლეთა სახლი მასპინძლობს, ღონისძიების საზეიმო გახსნა-დახურვა კი პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრში ტარდება ხოლმე. საერთოდ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის კოლექტივი ძალიან ემადლიერება ამ თეატრს თანადგომისა და დახმარებისთვის. "მოსწავლეთა დღეები" გარდა იმისა, რომ მრავალ ნიჭიერ და შემოქმედ, გონიერ და განათლებულ ბავშვს წარმოაჩენს, მრავალეროვანი ისნის რაიონის ბავშვების დაახლოებადამეგობრებასაც უწყობს ხელს. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ერთმანეთს უჩვენონ თუ რა შეუძლიათ, რა გააკეთეს, რა ისწავლეს, რას მიაღწიეს. სწორედ ამ დღეების მიმდინარეობისას გაითამაშეს 95-ე სომხური სკოლის მოსწავლეებმა იუმორისტული ნომერი ქართულ ენაზე, აქ წარმოადგინა მშვენიერი სასკოლო კოლექცია 87-ე საშუალო სკოლამ, ამავე სკოლის მოსწავლემ, მარი მელქაძემ და 74-ე სკოლის წარმომადგენელმა ალია მენაბდემ ისე გაამხიარულეს პუბლიკა იუმორით, რომ მათ დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან; აქ ისახელა თავი ერუდიციით და განსწავლულობით 157-ე სკოლის გუნდმა ინტელექტთა თამაშში "რა, სად, როდის?" წარმოჩინდა ნორჩი მხატვრების სერგო გოდერძიშვილის (163-ე სკოლა), ნინო ლომსაძის (მე-5 გიმნაზია), არქიტექტორ გიორგი გულასარიანის (92-ე სკოლა) და კიდევ ბევრი მათი ნიჭიერი თანატოლის შემოქმედებითი აღმფრენა და აზროვნება.

მოსწავლეთა სახლის თეული კოლექტივი ყოველთვის ხალისით ემზადება ყოველი მორიგი "თბილისობისთვის". დღესასწაულის ფერადოვნებაში საკუთარი ელფერის დასამატებლად ყოველ წელიწადს ისინი სხვადასხვა თემატურ მიმართულებას ირჩევენ. შარშანდელ "თბილისობაზე" მაგალითად, ბავშვებმა ფიროსმანის სურათები გაცოცხლეს, უფრო ადრე კი ქართველი მწერლების ნაწარმოებების თუ ფოლკლორის მეშვეობით განსახიერებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეები წარმოადგინეს, ვთქვათ, კახეთი გიორგი ლეონიძის "ნატრის ხით" და "კაცია-ადამიანი?!", იმერეთი - დავით კლდიაშვილის გმირებით, სამეგრელო – "დათა თუთაშხიათი", აფხაზეთი – აკაკის "გამზრდელით", ფშავ-ხევსურეთი – ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებით და ა.შ.

ცალკე უნდა ითქვას საყმაწვილო კლუბ "ალმაშენებლის" საქმიანობაზე. კლუბი რაიონის სკოლების უფროსკლასელებს აერთიანებს, რომლებიც კვირაში ორჯერ იკრიბებიან, მართავენ პრესკონფერენციებს, დებატებს, რომელთა დროსაც ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობენ, ბჭობენ, კამათობენ. მაგალითად, ამას წინათ, კლუბში მეტად ცხარე კამათი გაიმართა იმის შესახებ, უნდა ჩაერიოს თუ არა სკოლა მოსწავლის პირად ცხოვრებაში. ინტელექტკლუბში ბავშვები დამოუკიდებელ აზროვნებას ეჩვევიან, სწავლობენ კამათს, საკუთარი შეხედულებების, პოზიციის დასაბუთებულ დაცვას, ოპონენტის პატივისცემას, იძენენ საჯაროდ საუბრის, ბჭობის უნარ-ჩვევებს.

საინტერესო, გამამდიდრებელი და სასარგებლოა ისნის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გატარებული ყოველი საათი თითოეული ბავშვისათვის და ეჭვი არ არის, ასე იქნება მუდამ. ამის საწინდარია სახლის პედაგოგ-მასწავლებლის, ხელმძღვანელობის თავდადებული, კეთილსინდისიერი გარჯა, დაუცხრომელი ძიება, საქმის ერთგულება და ბავშვების სიყვარული, საკუთარი საქმიანობის მნიშვნელობის გაცნობიერება, რასაც არ შეიძლება წარმატება არ მოჰქონდეს.

ზაურ სამადაშვილი



შენი თანატოლები ვერიანიაში?

საშუალო განათლების მიღება შეიძლება როგორც დღის სკოლებში, ისე სკოლა-ინტერნატებში. დაწყებით სკოლებში სწავლობენ 6-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვები, საშუალოში - 12-დან 16-მდე, და ბოლოს, გიმნაზიაში - 16-დან 19 წლამდე. ამის შემდეგ საშუალო განათლების შესახებ მოწმობის - აბიტურის მისაღებად მოსწავლეს ელის შემაჯამებელი გამოცდა ოთხ ძირითად საგანში. აბიტური სწავლის გაგრძელებისა და უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების უფლებას იძლევა. ყოველივე ეს მხოლოდ საწყისი და მეტად ლაკონური ცნობებია გერმანიაში არსებული განათლების სისტემის შესახებ, ხოლო მისი სტრუქტურა და ძირითადი პრინციპები ბევრად უფრო რთულია.

გერმანიაში სულ ექვსი ტიპის სკოლაა. ბავშვის შესაძლებლობებისა და მშობელთა სურვილის მიხედვით გამოყოფენ სამ ვარიანტს: Hauptshule, Realschule, Gymnasium.

გერმანიაში კონკრეტულად აზროვნებენ, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მრავალ კანდიდატურას შორის საწარმო, სადაც ასწავლიან (აქ პროფესიას პირდაპირ სამუშაო ადგილზე ეუფლებიან) სწორედ შენ აგარჩევს. ხშირად დიდი კონკურსის გამო ადგილის მიღება აქ ისევე ძნელია, როგორც სკოლის დამთავრება ან უნივერსიტეტში მოხვედრა. და თუ ადრე გიმნაზიადამთავრებულთა უმრავლესობა უნივერსიტეტში მიდიოდა, ამჟამად ბევრი მათგანი სწორედ საწარმოებში მოხვედრას ცდილობს. ამასთან სკოლაში კარგი სწავლა ბევრს არაფერს ნიშნავს. გერმანელებს მიაჩნიათ, რომ სკოლაში წარმატების მისაღწევად მოსწავლეს დიდი ძალისხმე-

ვა არ უნდა სჭირდებოდეს. თუ მოზარდს სწავლა უჭირს, შეიძლება მას შესთავაზონ 16 წლის ასაკში დაამთავროს განათლების მიღება და 19 წლამდე არ გააჭიანუროს ეს პროცესი, რომლის დროსაც ის მხოლოდ ხუთიანებს (ჩვენებურ ორიანებს) მიიღებს. გერმანიაში მიღებული თვალსაზრისით, ბავშვმა სკოლაში შეძენილი განათლება მხოლოდ მისთვის საჭირო ზომით უნდა გამოიყენოს, მთავარი კი შესაფერისი პროფესიის, ანუ იმ საქმიანობის მოძებნაა, რომელსაც ადამიანი მთელი სიცოცხლე გაჰყვება.

დასაწყისისთვის არსებობს გიმნაზია. სწავლების ვადა აქ 8 წელია და იგი ორ ძირითად პერიოდად იყოფა: მე-5 კლასიდან მე-10-მდე და მე-11-დან მე-13-მდე. მე-13 კლასის გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში გიმნაზისტს ცოდნის წინასწარი შემოწმების გარეშე ღებულობენ ნებისმიერ უნივერსიტეტში. ამატომაც გიმნაზიური განათლების მიზნად უნივერსიტეტში მეცნიერებათა შემსწავლისათვის მზადებას მიიჩნევენ. აქედან გამომდინარე, მოსწავლე ერთი საგნის შესწავლაზე ამახვილებს ყურადღებას და არ ცდილობს აითვისოს ბევრი რამ, ოღონდ ზედაპირულად. გიმნაზიაში ჰუმანიტარული დისციპლინებისკენ ლტოლვა თვალში საცემია, თუმცა ამ ტენდენციას ოფიციალურად არ აღიარებენ.

რაც შეეხება Hauptshule-ს და Realschule-ს, სწავლება აქაც მე-5 კლასიდან, დაწყებითი სკოლის შემდეგ იწყება. ბოლო მე-10 კლასია, რომლის შემდეგაც მოსწავლეებს ეძლევათ Haupshule-ის დამთავრების ან Realschule-ის საშუალო განათლების მიღების დამადასტურებელი ატესტატი. Realshule-ის ატესტატის მაღალი ნიშანი გიმნაზიის უფროს კლასებში სწავლის უფლებას იძლევა. თუ ატესტატში არის გრაფა "კვალიფიკაცია", სკოლადამთავრებულს უფლება აქვს მიიღოს პროფესიული მომზადება და აგრეთვე შევიდეს ზოგიერთ სკოლაში. გარკვეული პროფესიებისთვის მაინცდამაინც Realschule-ის დამთავრებაა საჭირო, დანარჩენებისთვის კი Hauptschule-ის დამთავრების ატესტატიც კმარა.

ბოლო დროს გერმანიაში კიდევ ერთი ტიპის სკოლა გაჩნდა — Gesamtshule. ეს სკოლა სამივე ზემოხსენებული სკოლის დამახასიათებელ ნიშნებს აერთიანებს. მისი მიზანი საზოგადოების სხვადასხვა ფენებისთვის კარგი საშუალო განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდაა. აქ მოსწავლეს შეუძლია აირჩიოს, რომელი საგნები ისწავლოს გიმნაზიის დონეზე და რომლები — Reaschule-ის დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ მე-10 კლასის ბოლოსთვის მოსწავლის აქტივში გიმნაზიის დონეზე შესწავლილი საგნების საკმაო რაოდენობაა, მას აბიტურის ჩაბარების საშუალება ეძლევა.

და კიდევ ერთი ტიპის სკოლა — Sonoloschule, რომელშც ხვდებიან ბავშვები, რომლებსაც ქრონიკულად არ შეუძლიათ სწავლა და აგრეთვე ხულიგნები და დამნაშავე ელემენტები. ასეთ სკოლაში სწავლაც შესაბამისია.

სხვა ქვეყნებიდან გერმანიაში სასწავლებლად ჩასული 12-16 წლის მოზარდები ძირითადად Hauptshule-ში ხვდებიან. აქედან სხვა სკოლაში გადასვლა კი საკმაოდ ძნელია. მაგალითად, Realschule-ში მოსახვედრად ბავშვს ენის კარგი ცოდნა და კარგი ნიშნების ფურცელი უნდა ჰქონდეს. კარგი ნიშნების ფურცელი კი ენის კარგი ცოდნის გარეშე შეუძლებელია, ისე რომ ჩაკეტილი წრე გამოდის. საერთოდ, გერმანიაში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, ენის ცოდნა იქ ჩასულისთვის ბევრ კარს აღებს. ამიტომაც თუ ვინმეს გერმანიაში წასვლა აქვს განზრახული, ენის შესწავლას ერთი-ორი წლით ადრე უნდა შეუდგეს. გერმანელი მოსწავლეებისთვის საშინაო დავალებების შესრულება აუცილებელია. მათი შესრულება მკაცრად კონტროლდება და ყველაზე ჩამორჩენილი მოსწავლეც კი ვალდებულია წარადგინოს საშინაო სამუშაო, სხვაგვარად მას არავინ შეაფასებს. მთელი წლის განმავლობაში მოსწავლეები აბარებენ რამენიმე წერით სამუშაოს, თუმცა ნიშნებს ძირითადად ზეპირ პასუხებში წერენ. მაგალითად, მნიშვნელობა ეძლევა იმას, თუ რამდენჯერ უპასუხა მოსწავლემ გაკვეთილზე, რაც სერიოზულ კონკურენციას უწყობს ხელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიაში არ არსებობს ორმხრივი კავშირი "სკოლა — მშობლები". იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძალიან ჩამორჩება ან გაკვეთილებს აცდენს, მას სახლში ე.წ. ცისფერ წერილს უგზავნიან, რომლითაც მშობლებს აფრთხილებენ. ამის შემდეგ შეიძლება მშობლებს დაურეკონ და მათი შვილის პრობლემები გააცნონ. ეს არის და ეს. ამის იქით მასწავლებლებისა და მშობლების ურთიერთობა არ მიდის.

საშინაო დავალებები გერმანულ სკოლებში სულ არ არის რთული. ძირითადად მოსწავლეებს სთხოვენ დაწერონ საკუთარი აზრი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ამასთან მათ მხოლოდ საკუთარი კონსპექტებით უნდა ისარგებლონ. ძირითადი საგნების გარდა, მოსწავლეებს შეუძლიათ დანარჩენ საგნებში ფაკულტატურად იმეცადინონ. სპექტრი აქ საკმაოდ ვრცელია — ენებიდან სპორტამდე — თუმცა შესაძლო "წრეების" რაოდენობა შეზღუდულია.

განათლების ამგვარი სისტემის შედეგი კი ის არის, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩასულთა აზრით, ახალგაზრდა გერმანელთა უმრავლესობა გაუნათლებელია. მათ ვერაფერზე დაელაპარაკები, მათი ერთადერთი გართობა, ვინმესთან თავშეყრა და წინადღით ნანახი ფილმის განხილვაა. ეტყობა, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ გერმანიაში ასეთ დასკვნამდე მივიდნენ — უმჯობესია ფლობდე ვიწრო სპეციალობას, ვიდრე იყო მრავალმხრივ განვითარებული ადამიანი.

ტესტი

თინეიჯერებისათვის

გყავს თუ არა ნამდვილი მეგობარი?

1. შენ ლამაზი ხარ, არასიმპათიური მეგობრის ფონზე კი საერთოდ გადასარევად გამოიყურები. აღიზიანებს თუ არა ეს მას?

ა) კი, ძალიან

ბ) არ ვიცი, შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ის ამას არ ამჟღავნებს.

გ) არა მგონია.

დ) არა, პირიქით ის აღტაცებულია ჩემი გარეგნობით.

2. დაგჭირდა და მეგობარს ფენი გამოართვი, მაგრამ ხმარების დროს გაგიფუჭდა. მეგობარი რას გეტყვის?

ა) სანამ ახალს მიყიდი, ჯერჯერობით დედას ფენს ვიხმარ.

ბ) "არა უშავს, ამაზე მეტი სადარდებელი ღმერთმა ნუ მოგცეს".

გ) "უნდა გაფრთხილებოდი... ახლა კეთილი ინებე და ახალი მიყიდე".

დ) "მე გამართული ფენი გაგატანე, და შენც ასეთივე უნდა ჩამაბარო.

3. შენ ახალი თეთრი კოსტიუმი იყიდე და მეგობართან წახვედი საჩვენებლად. რას გეტყვის ის?

ა) "გადასარევად გაქვს, ძალიან გიხდება!"

ბ) რა საშინელებაა, მედდას ჰგავხარ!

გ) "კარგია, ზუსტად შენი სტილია".

დ) "რამ გაყიდინა? თეთრი ხომ ჩქარა ჭუჭყიანდება!"

4. მეგობარს შენი საიდუმლო გაანდე, მეორე დღეს მის შესახებ მთელმა სკოლამ გაიგო. ვითომ შენმა მეგობარმა გაგცა?

ა) არა მგონია.

ბ) გამორიცხული არ არის, ჭორაობა უყვარს.

გ) არავითარ შემთხვევაში!

დ) რა თქმა უნდა, ეჭვი არ მეპარება.

5. შენ მეგობარ ბიჭს გაებუტე და დარდობ. გულისტკივილი დაქალს გაუზიარე. როგორ გგონია, ვის დაადანაშაულებს ის?

ა) არავის, უგულისყუროდ მომისმენს და მთქნარებას მოჰყვება.

ბ) ყველაფერში მარტო მე დამადანაშაულებს.

გ) ყურადღებით მომისმენს და პატიოსნად მეტყვის, ვინ არის ჩვენ ორ შორის დამნაშავე.

დ) მე მომეხრობა.

6. თმა შეიჭერი, მაგრამ არ მოგიხდა და შეწუხებული ხარ. როგორ მოიქცევა შენი მეგობარი?

ა) მეტყვის, საფრთხობელას ჰგავხარო.

ბ) დამამშვიდებს და შეეცდება ვარცხნილობა შემიცვალოს.

გ) დედამისის პარიკს შემომთავაზებს.

დ) დამაწყნარებს, რა გატირებს, ერთ კვირაში გაგეზრდებაო.

7. სასწრაფოდ დაგჭირდა მოზრდილი თანხა. გაგიმართავს თუ არა ხელს მეგობარი, რომელიც დიდი ხანია აგროვებდა ფულს ფეხსაცმლის საყიდლად?

ა) რა თქმა უნდა, უსიტყვოდ!

ბ) არა, მეტყვის სწორედ დღეს მივდივარ ფეხსაცმლის საყიდლადო.

გ) მე მგონი, დამეხმარება.

დ) მასესხებს, ოღონდ პროცენტებით!

8. თქვენ დაბადების დღეზე წახვედით და იქ შენს ყოფილ თაყვანისმცემელ ბიჭს შეხვედი თავის ახალ გოგოსთან ერთად, როგორ მოიქცევა შენი მეგობარი?

ა) ექიდნურად ჩაიღიმებს და ჩემს რეაქციას დააკვირდება.

ბ) შემომთავაზებს, წავიდეთო.

გ) ჩაილაპარაკებს, ნახე, რა მშვენიერი გოგო უშვიაო?

დ) დამაშვიდებს, შენ გაცილებით ჯობიხარო.

9. დაგეხმარება თუ არა მეგობარი ფიზიკის საკონტროლოზე, რომლისაც შენ ძალიან გეშინია?

ა) რა თქმა უნდა!

ბ) არა.

გ) არ ვიცი, გაარნია, როგორ ხასიათზე იქნება.

დ) თუ დრო დარჩება, დამეხმარება.

10. შენი დაქალი თქვენი ერთად ყოფნისას შენს მეგობარ ბიჭს თუ გაკვლაუცებია?

ა) არა, შეიძლება უბრალოდ, იხუმროს.

ბ) არასდროს.

გ) კი, ზოგჯერ ხდება ხოლმე.

დ) გამუდმებით, სულ თვალებს უჟუჟუნებს და ქათინაურებს ეუბნება.

11. შენ, როგორც ინვლისურის კარგ მცოდნეს, სკოლიდან ერთი თვით ლონდონში გაგზავნიან, როგორი იყო შენი მეგობრის რეაქცია?

ა) დაბოღმილმა ჩაისისინა, ზოგს რა ბედი აქვსო.

ბ) მითხრა, ძალიან გამიხარდაო.

გ) შურით სავსე თვალებით შემომზედა.

დ) მომილოცა.

12. დისკოთეკაზე ვიღაც ბიჭმა შენი მეგობრისადმი ყურადღება გამოიჩინა და მასთან განძარტოება მოინდომა, როგორ მოიქცევა შენი მეგობარი?

ა) სთხოვს იმ ბიჭს, თავისი მეგობარი გამაცნოს.

ბ) მე აღარ გავახსენდები და იმ ბიჭს გაჰყვება.

გ) არ გაჰყვება, ეტყვის, სხვა დროს იყოსო.

დ) თავს დამნაშავედ იგრძნობს და მთხოვს, არ გეწყინოსო...

13. გადაწყვიტე წონა დაიკლო და მეგობარს შესთავაზებ, ერთად ვირბინოთო. დაგთანხმდება?

ა) რა თქმა უნდა!

ბ) არ ვიცი, ძალიან ზარმაცია.

გ) ალბათ, იმიტომ რომ თვითონაც ძალიან უნდა გახდომა.

დ) არა. ამრეზით მეტყვის, მე წონის დაკლება არა მჭირდებაო.

14. პირველად მიდიხარ პაემანზე, მაგრამ ჩასაცმელი არაფერი გაქვს და მეგობარს სთხოვ, თავისი ლამაზი კაბა გათხოვოს. რას გიპასუხებს?

ა) "მაპატიე, მაგრამ სწორედ დღეს გავრეცხე".

ბ) "წაიღე და ღმერთმა ხელი მოგიმართოს!"

გ) "არ მიყვარს, როცა ჩემს ნივთებს მთხოვენ".

დ) "აი მთელი ჩემი გარდერობი, აირჩიე, რაც მოგეწონოს, ის ჩაიცვი!"

15. გრიპით გახდი ავად, მაღალი სიცხე გაქვს და წევხარ. მოდის თუ არა სანახავად შენი მეგობარი?

ა) კი, დღეში სამჯერ.

ბ) არცერთხელ არ მოსულა, ეშინია გრიპი არ გადაედოს.

გ) ყოველდღე მირეკავს.

დ) ყოველდღე მოდის და ახალ ამბებს მიყვება.

16. ბიჭმა მიგატოვა და თავს ძალიან ცუდად გრძნობ. დასამშვიდებლად მეგობარს ურეკავ. როგორ მოიქცევა ივი?

ა) დამამშვიდებს, რა მოხდა მერე, სხვაც ბევრი მიუტოვებიათო.

ბ) გეტყვის, დრო ყველაფრის მკურნალია, მალე დამშვიდდები და სხვა მეგობარი ბიჭი გამოგიჩნდებაო.

გ) მაშინვე ჩემთან მოვარდება და დამშვიდებას დამიწყებს.

დ) თვითონ დაიწყებს იმ ბიჭთან სიარულს.

ქულები

1.	5	10	15	20
2.	15	20	10	5
3.	20	5	15	10
4.	15	10	20	5
5.	10	5	15	20
6.	5	15	10	20
7.	20	5	15	10
8.	10	15	5	20
9.	20	5	10	15
10.	15	20	10	5
11.	10	15	5	20
12.	15	5	20	10
13.	20	10	15	5
14.	10	15	5	20
15.	20	5	10	15
16.	10	15	20	5

80-135 ქულა:

საკვირველია, როგორ ქცევი ამ ადამიანს შენს მეგობარს. თუ ის მეგობარია, მტერი ვინღაა? მისთვის ქალური მეგობრობა არ არსებობს. ის ყოველთვის ცდილობს გული გატკინოს და გავნოს. ნუღარ იმეგობრებ მასთან!

140-200 ქულა:

შენი მეგობარი გულგრილი ადამიანია. შენი გულისთვის თავს არ შეიწუხებს, მხოლოდ მაშინ ახსენდები, როცა თვითონ დასჭირდები. დაფიქრდი, გჭირდება კი ასეთი მეგობარი?

205-270 ქულა:

შენ გვერდით ნამდვილი მეგობარი გყავს. თქვენ მშვენივრად ავსებთ ერთმანეთს. თქვენი მეგობრობა თანასწორობასა და პატივისცემას ემყარება. შეგიძლია მშვიდად იყო – ამ ადამიანის სახით გვერდით სანდო და უღალატო მეგობარი გყავს, თქვენი მეგობრობა ბევრისთვის სანატრელია.

275-320 ქულა:

შენი მეგობარი იშვიათი ადამიანია. შენ მისთვის ყველაფერი ხარ – ჭირში არასდროს მიგატოვებს, არ გიღალატებს, არ მოგატყუებს, თვალში შემოგციცინებს, მაგრამ აბა, დაფიქრდი – ბოროტად ხომ არ იყენებ მის სიკეთეს? მასაც ხომ აქვს საკუთარი ღირსების გრძნობა?

თვითდამჰიპნოზებელი მონტესუმას ბაღიდან

ISSN-1512-1127

იტალიაში, საფრანგეთში, ავსტრიასა და რუსეთში ამ ფრინველს, ისევე როგორც ჩვენში, ინდაურს ეძახიან (ცხადია, ყველა ქვეყანაში თავისებურად, თავის ენაზე). ხოლო ინგლისურენოვან ქვეყნებში turkey - თურქულს. რით აიხსნება ასეთი განსხვავება?

ინდაურს საინტერესო ისტორია აქვს. დაახლოებით ოთხნახევარი საუკუნის წინათ, ესპანელმა კონკისტადორებმა მექსიკიდან სამშობლოში დაბრუნებისას ოქრო-ვერცხლთან და სხვა განძეულობასთან ერთად აცტეკთა ბელადის მონტესუმას ბაღიდან მოტაცებული რამდენიმე ნახევრადველური ფრინველიც გააყოლეს ხელს.

ქრონიკებში ნათქვამია, რომ ესპანელმა ზღვაოსანმა ფრანცისკო-ფერნანდესმა ეს ფრინველები 1519 წელს ჩამოიყვანა ესპანეთში. აქედან კი ინდაური სავაჭრო გზებით ცენტრალური ევროპის ქვეყნებში მოხვდა. გემრიელი ხორცის მქონე ფრინველი კონსტანტინოპოლშიც გაიჩინეს, მერე მთელ თურქეთის იმპერიაში გავრცელდა, საიდანაც ინგლისში ჩაბრძანდა და ინგლისელებიც ადგნენ და ამ ჩვენს ინდიურ ფრთოსანს თურქული უწოდეს. სხვათა შორის, ბევრ ქვეყანაში, სადაც ამ შინაურ ფრინველს ინდაურს უწოდებენ, დღემდე ჰგონიათ, რომ მისი სამშობლო ინდოეთია და არა მექსიკელ ინდიელთა, აცტეკთა მიწა-წყალი.

ინდაური ძნელად გასაზრდელი ფრინველია. უბედურება ის არის, რომ შინაური ინდაურები ჩერჩეტები და დაბნეულები არიან. აბა სხვა რა ეთქმის ფრინველს, რომელსაც ჭამა უნდა ასწავლო. ყოფილა შემთხვევები, როცა ინდაურები ლამის შიმშილით იხოცებოდნენ მაშინ, როცა ცხვირწინ დიდებული საჭმელი ჰქონიათ. ზოგ გაფხორილ ინდაურს საკუთარი თავის ჰიპნოზირებაც კი შეუძლია. ამას ისინი ძალზე კურიოზული საშუალებით აკეთებენ: წყალს რომ სვამენ, რიტმულად ირხევიან და ამის გამო ტრანსში ვარდებიან. საქმე იმით მთავრდება, რომ ჰიპნოზირებული ფრინველი წყალში ვარდება და იხრჩობა. ისეც ხდება ხოლმე, რომ ქარის მიერ აშრიალებული დაჭმუჭნილი ქაღალდით შეშინებულ ინდაურებს ისეთი პანიკა ეწყებათ, რომ გულგახეთქილები გარბიან, ღობეს ან მესერს ასკდებიან და იღუპებიან.

გარეული ინდაური თავის გაკულტურებულ თანამოძმეზე ბევრად უფრო ჭკვიანია. სხვათა შორის, იყო დრო, როცა იგი ლამის ამერიკის შეერთებული შტატების სიმბოლო გახდა. როცა აშშ-ს სახელმწიფო ბეჭდის საკითხი იხილებოდა, პრეზიდენტმა बენჟამინ ფრანკლინმა მასზე გარეული ინდაურის გამოსახულების ამოტვიფრვა შესთავაზა სენატს. იგი კატეგორიული წინააღმდეგი იყო სიმბოლოდ თეთრთავიანი არწივის გამოსახულება აერჩიათ, ხოლო თავის მოსაზრებას იმით ადასტურებდა, რომ ეს უკანასკნელი პატიოსან ცხოვრებას არ ეწევა, სხვა ფრინველებს საკვებს არმევს. ფრანკლინის წინადადება უარყვეს და აშშ-ს სიმბოლოდ დღემდე თეთრთავა არწივი რჩება.

შინაური ჯიშებიდან ყველაზე მეტად ბრინჯაოსფერი ინდაურებია გავრცელებული, რომლებიც შეფერილობით წინაპრებს ჰგვანან, ოღონდ უფრო მოზრდილები არიან. კარგად ნაკვებ-ნასუქი მამალი ინდაური 20 კილოგრამზე მეტს იწონის, ეს კი ერთი საშუალო სიდიდის ბატკნის წონაა. გურმანები და ექიმები დიდი ხნიდან აფასებენ ინდაურის ხორცის შესანიშნავ გემოს და დიეტურ თვისებებს. ხოლო მთლიანი სახით შემწვარი ეს ფრინველი მსოფლიოს მრავალი ხალხის საღღესასწაულო სუფრის ტრადიციულ მშვენებად იქცა.

ტოხტეხის პერიოდში ინდაურები ძალზე დეკორატიულები არიან, განსაკუთრებით – მამლები. ინდაურები ძალზე განვითარებული დედობრივი ინსტინქტით გამოირჩევიან. დედალი ინდაური ძალზე ფრთხილი და მზრუნველი კრუხია, ამიტომაც ანდობენ ხოლმე მას არა მარტო წიწილების, ჭუჭულების გამოჩეკვა-გამოზრდას, მას ხშირად მწყერის და ხოხბის ძალზე ნაზ კვერცხებზეც კი სვამენ ხოლმე კრუხად. ჩვენში გავრცელებულია ბრინჯაოსფერი, თეთრი, შავი და ჩალისფერი ინდაურები. იყო დრო, როცა ამ ფრინველის რაოდენობა მთელ მსოფლიოში ძალიან შემცირდა – 1845 წლისთვის სულ რაღაც 30 ათასი შემორჩა. მაგრამ მიღებული ზომების შედეგად ათ წელიწადში ინდაურების რაოდენობა ცხრაჯერ გაიზარდა, დღეს კი იგი ორ მილიონზე მეტს შეადგენს.

რატომ ვამბობთ ასე?

დორანში ჩავარდნა – დორანი ჰქვია მყუდრო ადგილს წყალში, სადაც თევზები თავს იყრიან და თუ წაიწყდა ადამიანი, მათი დაჭერა ადვილია. როცა გადატანით იტყვიან ხოლმე – მავანი დორანში ჩავარდაო, ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაცას კარგი ბედი მოუვა, სიმდიდრეს და კარგ ცხოვრებას ეწევა.

დომხალი – ალუფხული, უწესრიგო, არეული. დომხალი შეჭამანდია, რომელიც შედგება ერთიმეორეში არეული მხალისგან.

დედაბრიანთ ხარი – ქართლის სოფელ წილკანში დედაბრიშვილების ოჯახს ერთი შავი ხარი ჰყოლია, ზანტი, საქმეზე წასვლა და მუშაობა ესიკვდილებოდა, შინ რომ მოატანდა, გამოიქცეოდა ხოლმე. გამოთქმა "დედაბრიანთ ხარი" იხმარება ზარმაცი, ზანტი ადამიანის დასახასიათებლად.

მამაცხონებული – ბედნიერი, ყოველგვარი სიკეთით სავსე ადამიანი. ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციით, შვილი ვალდებულია მამის სიკვდილის შემდეგ გადაუხადოს მას ყოველი რიგი, რაც მამის სულის სასუფველში შესვლას, მის ცხონებას შეუწყობს ხელს. სიქიოს ცხონება უდიდესი ნეტარებაა ადამიანისთვის და, მაშასადამე, ცხონებული კაცის შვილი, რომელმაც ხელი შეუწყო მამის ცხონებას, ბედნიერ, სხვებისთვის მისაბაძ ადამიანად ითვლება.

მამა გიცხონდა – ისემც გაიხარე, ისემც დიდი სიკეთე დაგემართოს. ამ სიტყვებს ნიშნის მოგებით ხმარობენ, როცა ერთი ადამიანი მეორეს რაიმეს ედავება და ცდილობს წაართვას, ეს უკანასკნელი კი არ უთმობს და თან დაცინვით ეუბნება: მამა გიცხონდება, რაც შენ ვერაფერი წამართვაო! ანუ, რაკი ვერას წამარომეევ, ვერც მამა გიცხონდებაო.

დაგჯალული – განუვითარებელი, დაჩიავებული, დაბალი. გვალვის, უწვიმობის გამო მცენარეულობა არ იზრდება, ზოგჯერ კი საერთოდ ხმება. გვალვას გადარჩენილი მცენარე კი სრულ ზრდას ვერ აღწევს და ნაყოფსაც ძალზე ცოტას და უხეიროს ისხამს. ასეთ ნათესობაზე იტყვიან, დაგვალულიაო. იგივე გამოთქმა იხმარება ზრდანაკლული, დაბალი საქონლისა და ადამიანის დასახასიათებლადაც.

სიტყვის ჯონა

ორლი – ორპირი მასვილი; გრძელბუნიანი ორპირი შუბი.

ჩუგლუგი – მცირე წერაქვი.

რუსხმული – მაღლა აშენებული რუ დაბლობიდან მაღლობზე წყლის ასაყვანად.

როხი – 1. მსხვილად დაფქული მარცვლეული; 2. მსხვილი, უსწორმასწორო.

რჩხა – კაპებიანი ჯოხი.

ტინი – ჰიტალო კლდე.

ღარღლი – ნაწვენობის, უკმაეოფილების გრძნობა.

ყიაყიური – შეკვარდნისა და გავაზის ხმიანობა.

შაპრა – შავი ფერის ცხენი.

ჭოჭი – მირს (მიწაზე, იატაკზე) დამდგარი წვალი.

ჭრიანტელი – მწვანილითა და ნივრით შეკმაზული ტუმლის ან სხვა მქაველ ხილის გამონაწური.

ხუშეში – უსეში, ხმელი, გახეკებული, მქისე.

ხორტი – მთის ნაოჯებში ჩარჩენილი თოვლი.

ხორგი – ეინულის დიდი ნატეხი წვალზე.

რა და რა ჰქვია რას და რას



ოდოშხეერი

9 წლის თენგიზ ზალდასტანიშვილი ისეთი ყმაწვილია, რომ ახლავე იმსახურებს ფაქიზი სულის რაინდის წოდებას. თენგიზი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის 53-ე საუნივერსიტეტო სკოლის IV კლასის მოსწავლეა. ძალიან უყვარს მუსიკა, განსაკუთრებით – კლასიკა, მოსწონს იტალიური სიმღერები. ბიჭუნა სიამოვნებით ხატავს და წერს. თენგიზს ისე უყვარს ცხოველები და ისე შესტკივა მათზე გული, რომ ფიქრობს მათი ექიმი გამოვიდეს.

დღეს ჩვენ თენგიზ ზალდასტანიშვილის მხოლოდ ერთ ჩანახატს და ერთ ნახატს ვბეჭდავთ.

წვიმის წვეთების სიმღერა

ცა მოიღრუბლა შავი ღრუბლებით. ღრუბლებს კატის, ბუზის და ცხენის ფორმა აქვთ. და აი ჩამოვარდა ციდან წვიმის წვეთი. როგორი სასიამოვნოა გაზაფხულის კარგი თბილი წვეთები რომ გეცემა! რა ლამაზია ხის ფოთლებიდან ჩამონადენი წყალი ან წვეთების მიწაზე დაცემა და მათი სიმღერა. წვიმა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ღამის მთვარე და მზე. მე მსიამოვნებს წვიმის მერე ადიდებული ზღვა და მისი ღელვა. განსაკუთრებით მე მიყვარს წვიმის სიმღერა და თამაში – წკაფ-წკუფ.

ფერილი ღამის

ღმერთო, უშველე ამ ცოდვილ ქვეყანას,
რომელშიც არის მხოლოდ ტკივილი,
რომელმაც დაკარგა სულის სიმშვიდე,
სანაცვლოდ მიიღო ტკივილი და წუხილი ღამის.
ღმერთო, მოგვეცი ჩვენ იმის ძალი,
რომ ავირჩიოთ სიმშვიდის კვალი,
და კვლავ განვაგრძოთ ისე ცხოვრება,
რომ ჰქონდეს ყოფას არსი და აზრი,
რადგან ჩვენთან ხარ და ხელს გვიმართავ,
გვჯერა — ქვეყანას აღვადგენთ კვლავაც,
გვჯერა — ვიცხოვრებთ კვლავაც ღიმილით,
ასე რომ გვაკლია სუფველას ახლა.

ვაია თაბორიძე,
თბილისის 90-ე საშუალო სკოლა, X კლასი.

ფიქრი

მე შენზე ფიქრი მაშინ მტანჯავდა,
დღე მოწყენილი, მიდიხარ გზებზე,
რა ვუყო, ველამ თუ მიღალატა,
რა ვუყო, ცხედარს თუ დავემსგავსე...
გარშემო დღეა, დღე უცნაური,
დასდევს წამება იღბალს თანაბარს,
ქალაქში უცბად შეწუდა სმაური,
ქალაქმა უცებ სული განაბა.
ისევ შორიდან ვუმზერ სამყაროს,
ეს გრძნობა თვალებს სევდით ამივსებს,
მწუხარე სახით მოვწუდი სამყაროს
და ახლა მივალ ცისფერ ღამისკენ.

ნანა კაპანაძე,
თბილისის 90-ე საშუალო სკოლა, X კლასი

ოდოშხეერი

ოდოშხეური

ისნის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ნორჩ მხატვართა ნამუშევრები



ნეა ჯეიშვილი, 12 წლის

გიორგი ჭოლოსიანი, 12 წლის

21974

ერვანდ იადოიანი, 9 წლის

ირინა ხაჩატუროვა, 6 წლის

ერვანდ იადოიანი

დიმიტრი კუტალია, 9 წლის

ოდოშხეური

მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგიეს

პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი

პეტერბურგში დაბადებული დიდი ქართველი მეცნიერისა და ინჟინრის, ქიმიკოსისა და ფიზიკოსის პეტრე რომანის ძე ბაგრატიონის მიერ აღმოჩენილ ციანირების მეთოდს მთელ მსოფლიოში ფართოდ იყენებენ მეტალურგიაში. პეტრე ბაგრატიონმა პირველმა დაადგინა ლითონური ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ხსნადობა ტუტე ლითონთა ციანიდების წყალხსნარში. მის მიერ გელოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ მინერალს (ორტტის სასეობა) ბაგრატიონიტი ეწოდა.

პეტრე ბაგრატიონი გახლდათ კათალიკოს ანტონ პირველის ძმის და მეფე ერეკლე მეორის მამიდაშვილის იოანე ბაგრატიონის უმცროსი ძის, რევაზის (რომანის) უფროსი ვაჟი. რომან ბაგრატიონი კი იმ ბაგრატიონთა შთამომავალი იყო, რომლებიც რუსეთის მეფის დახმარებით დაიმედებულნი, დარბეულ-აწიოკებულ სამშობლოს გამოერიდნენ და თავიანთი ფიქრით, დროებით ერთმორწმუნე და ძლიერ ქვეყანას შეაფარეს თავი. გამოხდა ხანი, დაპირება დაპირებად დარჩა, ქართველთა იმედები გაცამტვერდა, დახმარების გარეშე დარჩენილი ვახტანგ VI სამშოლოში დაბრუნებას ვეღარ ეღირსა, ასტრახანში გარდაიცვალა და იქვე დაიკრძალა. გარდაცვლილი მეფის ამალის წევრ მოღვაწეთა შთამომავლების ნაწილი სამუდამოდ შემორჩა რუსეთს. მათ შორის იყვნენ პეტრე ბაგრატიონის წინაპრებიც და კერძოდ, მამა, რომან ბაგრატიონი, რომელმაც რუსეთის სახელით წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი თავდადებისა და გმირობისათვის გენერალ-მაიორის წოდება და მრავალი სამხედრო ჯილდო დაიმსახურა.

მოგვიანებით, 1827 წელს რომან ბაგრატიონი საქართველოში გამოამწესეს და ჯერ ქართული ლაშქრის მეთაურად, მერე კი თბილისის მაზრის გუბერნატორად განსაკუთრებულ დავალებებზე პასუხისმგებელ მოხელედ დანიშნეს. მაშინ მისი უფროსი შვილი პეტრე 9 წლის იყო.

პეტრე თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარეს და იგი იმ კლასში ჩაირიცხა, რომელშიც ნიკოლოზ ბარათაშვილი სწავლობდა. ოთხი წლის შემდეგ კი მოხდა ამბავი, რომლის გამოც ყმაწვილი პეტრე პეტერბურგს გაიქცა. მოგეხსენებათ, იასე ფალავანდიშვილმა 1832 წლის შეთქმულება გასცა და შეთქმულები შეიპყრეს. ნიკოლოზ ბარათაშვილმა ამასთან დაკავშირებით დაწერა სატირული ლექსი, რომელიც გამცემის ძმას, სამოქალაქო გუბერნატორს ნ.ფალავანდიშვილს ჩაუვარდა ხელში. ცხადია, ტატოს სატირის ავტორობა არ ეპატია — ჯერ იყო და 25 როზგით დასაჯეს, მერე კი სახელმწიფო განაჩენს ყმაწვილი პოეტის მამამაც დაუმატა. ამ ცემა-ტყეპას ტატოს მეგობარი და მისი ლექსის გამავრცელებლად ცნობილი და ამდენად ასეთივე სასჯელისთვის განწირული პეტრე ბაგრატიონიც შეესწრო. ამ სურათმა იმდენად შეაძრწუნა 14 წლის ჭაბუკი, რომ იგი პეტერბურგში პაპიდასთან, ანა ბაგრატიონ-გოლიცინასთან გაიქცა. იქ პეტრე გვარდიის პოდპორუჩიკებისა და კავალერთა იუნკრების სასწავლებელში ჩაირიცხა, საიდანაც ერთი წლის შემდეგ ცხენოსანთა ესკადრონში გადაიყვანეს. 1846 წელს პოდპორუჩიკი პეტრე ბაგრატიონი ინჟინერთა გვარდიის უფროს ადიუტანტად დაინიშნა, ორი წლის შემდეგ იგი სერიოზულად შეუდგა მუშაობას ფიზიკისა და ქიმიის დარგში. მაშინ პ.ბაგრატიონი 24 წლის იყო. სულ ერთი წლის შემდეგ კი ამ სფეროში მოპოვებული მიღწევებისთვის, უფრო ზუსტად კი "გალვანურ მედიცინაში წარმატებისათვის", იგი სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოდა. 1844 წელს ჩვენმა სასიქადულო თანამემამულემ გაიმარჯვა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის მიერ კრონშტადტის ნავსადგურის ყინულისგან გასათავისუფლებლად გამოცხადებულ მსოფლიო კონკურსში. პეტრე რომანოზის ძემ ეს ამოცანა წმინდა მეცნიერული გზით გადაწყვიტა. ამის შემდეგ გალვანური დენების საინჟინრო საქმეში გამოყენების მეთოდების შესასწავლად იგი ექვსი თვით გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში მიავლინეს.

1845 წლის დამდეგს პ. ბაგრატიონი ჰერცოგ მაქსიმილიან ლეიხტენბერგის ადიუტანტად დაინიშნა და მასთან ერთად კიდევ შვიდი წელი დაჰყო ევროპაში. იმ დროისათვის იგი მსოფლიო მნიშვნელობის მქონე შრომების ავტორად იყო აღიარებული. სამწუხაროდ, ჰერცოგი არაკეთილსინდისიერი პიროვნება აღმოჩნდა. ისარგებლა რა ნიკოლოზ პირველის ნათესაობით, მან გალვანოპლასტიკის დარგში მრავალი თეორიული ნაშრომიც გამოაქვეყნა და მათი პრაქტიკაში დანერგვაც დაიწყო ისე, რომ ერთხელაც არ უხსენებია თავისი მასწავლებე-

ლი პეტრე ბაგრატიონი, თუმცა ყველა მისი მიღწევა სწორედ პეტრე რომანის ძის სახელთან იყო დაკავშირებული. ყოველ-ზე ამის მიუხედავად, პ. ბაგრატიონის, როგორც მეცნიერის, ღვაწლი სულ უფრო ფართოდ ხდება ცნობილი ევროპაში. მისი მოღვაწეობის აღიარების დასტურია ამ ზვიდ წელიწადში მიღებული ჯილდოები: წმინდა ოლაფის ორდენი (შვედეთი); წმ.მიხეილის ორდენი (გერმანია); ცერინგენის ლომის ორდენი (გერმანია)...

ლეიხტენბერგის გარდაცვალების შემდეგ (1852 წ.) პეტრე ბაგრატიონი პეტერბურგში გამოიძახეს და ტულასა და ხარკოვის გუბერნიებში საყოველთაო მობილიზაციის ჩატარება დაავალე. როგორც ყოველთვის, მან ამჯერადაც პირნათლად შეასრულა დაკისრებული ამოცანა. ამის შემდეგ პეტრე რომანის ძე იმპერატორ ნიკოლოზ პირველის სასახლის კომენდანტად დაინიშნა, 1857 წელს კი ლეიბგვარდიის კავკასიის ესკადრონის ხელმძღვანელად გაიგზავნა. მოგვიანებით პ. ბაგრატიონი უკვე გენერალ-მაიორი და იმპერატორის ამალის უფროსია. ამ წლებში მის ჯილდოებს კიდევ ოთხი — წმ. სტანისლავის II ხარისხის და წმ. ანას II ხარისხის, წმ. ვლადიმირის III ხარისხისა და წმ. სტანისლავის I ხარისხის ორდენები შეემატა.

სწორედ ამ პერიოდში შეხვდა სახელოვან თანამემამულეს პეტერბურგში კარიერის საძიებლად ჩასული ახალგაზრდა აკაკი წერეთელი. პეტრე რომანის ძესთან აკაკი ძმამ, ილიკომ მიიყვანა. მასპინძელმა სტუმარი ქართულად მოიკითხა, რამაც ძალიან გააკვირვა ახალგაზრდა პოეტი. მას არ ეგონა, რომ 26 წლის ნინათ საქართველოდან გადახვეწილ პეტრეს მშობლიური ენა ეხსომებოდა. ბაგრატიონს აკაკის განცვიფრებაზე გაეცინა და უთხრა: "განა ქართველი აღარა გგონივარ? დიდი ხანია რუსეთში ვარ და ცოტა დამავიწყდა, თორემ შენზე უკეთ ვიცოდი ქართული! შენ, როგორც იმერელი, უეჭველად იმერული კილოთი უკიდებ და მე კი წმინდა ქართული ვიცოდიო!" ბაგრატიონი სადილით გაუმასპინძლდა აკაკის... ნასადილეკვს კი კიდევ დიდხანს ესაუბრა სტუმარს, გამოჰკითხა სამშობლო ქვეყნის ამბები.

1862 წელს პეტრე ბაგრატიონი ტვერის გუბერნატორად დაინიშნა. გონიერმა და კაცთმოყვარე გუბერნატორმა ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა გუბერნიაში — გაიყვანა რკინიგზის ახალი ხაზი და ტელეგრაფი, დააარსა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაფფუძნა საძიებო გეოლოგიური საწარმო, გააუმჯობესა ბიბლიოთეკების საქმიანობა და ა.შ. ტვერელებმა გულწრფელად შეიყვარეს მზრუნველი მმართველი. პ.ბაგრატიონისადმი მადლიერების ნიშნად და მისი სახელის უკვდავსაყოფად ქალაქის საზოგადოებამ პეტრე რომანის ძის და მისი მეუღლის სახელობის სტიპენდიები დაანესა ტვერის ქალთა გიმნაზიის მოსწავლეებისა და უპატრონო ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისთვის.

ბაგრატიონის მოღვაწეობის სიკეთეს მთავრობაც ჯეროვნად აფასებდა. 1865 წელს მას ჯერ წმ. ანას I ხარისხის ორდენი უბოძეს, მერე კი გენერალ-ლეიტენანტის წოდებაც მიანიჭეს.

მომდევნო წლებში (1868-69 წ.წ.) პ. ბაგრატიონი ვილენის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ, ბალტიისპირა ქვეყნების ლიფლანდიის, კურლანდიისა და ესტლანდიის გენერალ-გუბერნატორად (1870-76 წ.წ.) მუშაობდა, ბალტიისპირეთში მან განათლებაზე, უმაღლეს სასწავლებლებზე, განსაკუთრებით საინჟინრო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტებზე ზრუნვით დაამახსოვრა თავი.

1876 წლის ზამთარში, იანვრის პირველ რიცხვებში პეტრე ბაგრატიონი მივლინებით იმყოფებოდა პეტერბურგში. 17 იანვარს იგი მოულოდნელად გარდაიცვალა გულის ასთმის შეტევის შედეგად. პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი დაკრძალულია პეტერბურგში, ვოსკრესენსკის ნოვოდევიჩის მონასტერში.



სოფოკლე: საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა მოკლე ჭკუის ერთ-ერთი ნიშანია.

სპარსული თქმა: როგორც წყალი არ გროვდება მთის წვერზე, ისე არც ცოდნა აქვთ მეფდადუნებს. წყალიცა და ცოდნაც დაბალ ადგილებს ეტანება.

ლ. ტოლსტოი: არ არის სამარცხვინო და არ არის სახიანთ არცოდნა. ყველაფრის ცოდნა არაფის არ ძალუძს; სამარცხვინო და სახიანთა თავი ისე მოაწეენო, თითქოს იცი ის, რაც არ იცი.

ჩინური ანდაზა: ცოდნა, რომელიც ყოველდღე არ ივსება, ყოველდე კლებულობს.

ა. ფერეთელი: მხოლოდ პირუტყვი ივიწყებს წარსულს. არ ჰფიქრობს მომავალზე და მარტო აწმყოთია კმაყოფილი. კაცი კი, როგორც გონიერი და უმაღლესი არსება, სამთავეს ერთმანეთზე აბაშს და აკავშირებს, წარსულიდან გამოჰყავს აწმყო და აწმყოდან ჰსურს წარმოშობის მომავალი.

ი. ჭავჭავაძე: ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქნდან იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა... დაკიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული მკვიდრი სამარკვლია აწმყოსი, რაგორც აწმყო მომავლისა.

შ. ბუნო: როცა ოცი წლისა ვიყავი - მწამდა მხოლოდ საკუთარი თავი. ოცდაათი წლის რომ გავხდი, ვფიქრობდი: "მე და მოცარტი", ორმოცი წლის ასაკში მიყვარდა თქმა: "მოცარტი და მე". ახლა კი ვამბობ: "მოცარტი".

ფ. დოსტოევსკი: თუ მიხნისაკენ მიმავალ გზაზე ხშირად შეჩერდები და ქვებს დაუშენ ძალლებს, რომლებიც გზა-გზა შემოგიყეფენ, - ვერასოდეს ვერ მიაღწევ მიზნამდე.

მ. სერვანტესი: არაფერი ისე იაფი არ გვიჯდება და არაფერი ისე არ ფასდება, როგორც თავაზიანობა.

დ. შოსტაკოვიჩი: მუსიკის ცოდნა და საყვარული ფედის მუცლიდან თან არავის დაჰყვება. მუსიკა რომ შეგიყვარდეს, ამისათვის საჭიროა ხშირად მოისმინო იგი.

შეიყვარე და შეისწავლე მუსიკის დიადი ხელოვნება, იგი გაგაჟაჭიზებს და სრულყოფს შენს სულს.

მსოფლიო ვიდეოთ ვიდეოზე

ბრაზილია

კათოლიკური ეკლესია დიდ მზრუნველობას იჩენს შიდსით დაავადებული და ვირუსით ინფიცირებული ბავშვების მიმართ.

ინდოეთი

დღეს ინდოელები მთელ მსოფლიოს აკვირვებენ თავიანთი მიდწევებით მეცნიერებისა და ტექნოლოგიის თანამედროვე დარგებში. სოლო ამ წარმატებებს საფუძველი საშუალო სკოლებში ეერება, რომლებიც ხშირად ასეთი ჩრიმიტიული სახისაა.



ისრაელი

ეს ბავშვები მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე გაშენებული ერთ-ერთი ასალშენის მცხოვრებნი არიან და თავიანთი შობლების მსგავსად არ აპირებენ პალესტინელებს დაუთმონ ეს ტერიტორია.

ჩინეთი

ჩინეთის მოსახლეობა ეველაზე მრავალრიცხოვანია მსოფლიოში. დღეს ჰლანეტის ეოველი მეხუთე მცხოვრები ჩინელია.

იაპონია

იაპონელებს ბავშვობიდან მოსდეეთ კითხვის სიევარული. ისინი ნებისმიერ ვითარებაში ახერხებენ კითხვას. იაპონურ ენაში სპეციალური გამოთქმაც კი არსებობს - ტატი იომი (ზეზეურად კითხვა).

ჩვენი დედები ქიშპობენ

მინდა ჩემი გულისტკივილი გაგიზიაროთ. მე და ნათია სა-ბავშვო ბაღიდან ვმეგობრობთ. ბაღის შემდეგ ერთ სკოლაში მივვიყვანეს და ჩვენი საო-ცრად კარგი ურთიერთობა დღემდე გრძელდება, მა-გრამ... არც კი ვიცი, როგორ გითხრათ, ახლა, როცა ორივე-ნი მე-8 კლასში ვართ, ჩვენს მეგობრობაში თითქოს რაღაც ბზარი გაჩნდა. ჩვენმა დედებმა რაღაცნაირად ქიშპობა დაი-წყეს, ერთი მეორის ჯიბრზე გვაცმევენ, თეატრებსა და კო-ნცერტებზეც ასეთივე განწყო-ბით დავყავართ, ერთმანეთს რაღაც ნიშნის მოგებით ელა-პარაკებიან. თუ ერთი იტყვის ჩემს შვილს კემბრიჯი უნდა დავამთავრებინოო, მეორე აუ-ცილებლად უპასუხებს – ფი, კემბრიჯი რა არის, მე ჩემს შვილს ოქსფორდისთვის ვამ-ზადებო, და ასე შემდეგ. ამის შემყურე მე და ნათია ხმას არ ვიღებთ, მეშინია (და ალბათ ნათიასაც), მშობლების ეს გა-ნწყობა ჩვენც არ გადმოგვე-დოს და ერთმანეთი არ დავკა-რგოთ.

ქეთი, 15 წლის

უნდა გითხრათ, რომ შენც და ნათიაც სულ ტყუილად დუ-მხართ, ერთიც და მეორეც აუ-ცილებლად უნდა დაელაპარა-კოთ თქვენ-თქვენს დედებს. მშვიდად და გონივრულად აუ-ხსენით, რომ თქვენი მეგობ-რობა გამორიცხავს ყოველ-გვარ ქიშპობას და რომ თქვენ არ გინდათ უფროსების გამო ერთმანეთი დაკარგოთ. ჯერ შენ და ნათიამ ილაპარა-კეთ, იქნებ ცალ-ცალკე რომ-ელიმე ხვდებით თქვენი დედე-ბის ამგვარი საქციელის მი-ზეზს, თუ ასეა, მოქმედება გა-ნიადვილდებათ. ნებისმიერ შემთხვევაში უმჯობესია, მშობლებს სთხოვოთ, ნუ და-გაკარგვინებენ ბავშვობაში დაწყებულ მეგობრობას.

... რაღაც მხიარულ ლიუკს გაანდობდი ...

* * *

ჯერ არავინ შემყვარებია

მითხარით, ნორმალურია თუ არა, რომ უკვე 14 წლის ვარ და ჯერ არავინ შემყვარე-ბია და რაც ყველაზე უარესია, არც მე შევყვარებივარ ვინმეს. თითქმის ყველა ჩემს ამხანაგს ჰყავს შეყვარებული, მე კი...

ნინი, 14 წლის

მშვიდად იყავი, ნინი, 14-ის კი არა, შეიძლება ადამიანი 25-ისაც იყოს და სიყვარული არ გამოეცადოს. ერთი რაღაც დადგენილი ასაკი ამ გრძნობა-სათვის არ არსებობს, ისე რომ გულს ნუ გაიტეხ, დაელოდე, შენ აუცილებლად გეწვევა ეს მშვენიერი გრძნობა და ცხა-დია, ის საოცნებო უფლისწუ-ლიც გამოჩნდება, რომელიც თავდავიწყებით შეგიყვარებს.

* * *

... მე კი სიგიჟემდე მიყვარს

არ ვიცი, როგორ მოვიქცე, მე ერთი ბიჭი მიყვარს, ის კი ჩემს ამხანაგთან დადის. დანა-მდვილებით ვიცი, რომ ზაზა (სახელები შევცვალე) არ უყვარს, ამის შესახებ თვითონ მითხრა, და უბრალოდ იმიტომ დადის მასთან, რომ მთელ სკოლაში ის ყველაზე "მაგა-რი" ბიჭია. ლიკას სიამო-ვნებს, რომ ზაზამ მაინცდამა-ინც ის აირჩია, ეს არის და ეს. მე კი სიგიჟემდე მიყვარს... რა ვქნა, ვერც ლიკას ვეუბნები ამის შესახებ და, რა თქმა უნდა, ვერც ზაზას.

ნესტანი, 15 წლის

რთული, თუმცა კი ჩვეული სიტუაციაა. ერთადერთი, რაც შეგვიძლია გირჩიოთ – მოითმინე, იქნებ ამასობაში ზაზა და ლიკა გაერკვნენ საკუთარ გრძნობებშიც და ერთმანეთის გრძნობებშიც. ეჭვი არ არის, თუ ლიკას მართლა არ უყვარს ზაზა, ბიჭი ამას უთუოდ მიხვ-დება და მაშინ შენ შეგეძლება აღარ დამალო შენი სიყვარუ-ლი და ვითარების მიხედვით იმოქმედო.

ქიმია

ბევრი სხვა მეცნიერისგან განსხვავებით, რომლებმაც მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გაითქვეს სახელი, ჟოზეფ ლუი გეი-ლუსაკი ლამის თავისი მოღვაწეობის პირველივე დღეებიდან უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა. მრავალრიცხოვანი ტიტულებისა და საპატიო პოსტების მიუხედავად, თუ მორიგი მისი ცდა წარმატებით დასრულდებოდა, გეი ლუსაკი მოსწავლეებთან ერთად ლაბორატორიული მაგიდის გარშემო ცეკვავდა. ცეკვის საბაბი კი ყოველთვის იყო — გეი-ლუსაკის ლაბორატორიაში უამრავი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა იბადებოდა.

გეი-ლუსაკი, სახელგანთქმული პარიზის სორბონის უნივერსიტეტის, საფრანგეთის მხვილი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მრავალი სამეცნიერო გამომცემლობის რედაქტორი ქიმიურ ფაბრიკებში უფრო ხშირად იყო ხოლმე, ვიდრე დამლელ და ხშირ სამეცნიერო თავყრილობებზე. სხვათა შორის, ქიმიურ სანარმოებში ვიზიტების შედეგი იყო გოგირდმჟავას კამერული წარმოების მეთოდი, რომელიც ბოლო დრამდე გამოიყენებოდა.

ჟოზეფ ლუი გეი-ლუსაკი (1778-1850)

ყოველმხრივ განათლებული გეი-ლუსაკი მარტო ქიმიურს კი არა, ფიზიკურ გამოკვლევებსაც ანარმოებდა. იმ დროისათვის გაუგონრად გაბედულმა ფრენამ საჰაერო ბურთით ოთხი ათასი მეტრის სიმაღლეზე საშუალება მისცა მეცნიერს არა მარტო ბევრი ძალზე საინტერესო დაკვირვება ენარმოებინა, არამედ ამ სიმაღლეზე ჰაერის ანალიზიც გაეკეთებინა.

აირების ფიზიკური ცვლილებებზე მუშაობისას გეი-ლუსაკი დაინტერესდა ქიმიური რეაქციების ზეგავლენით აირების მოცულობითი შეფარდებით. ასობით ცდის შედეგად მეცნიერი დარწმუნდა, რომ ტემპერატურისა და წნევის ერთნაირ პირობებში აირები ერთმანეთს უბრალო მოცულობითი ფარდობით უერთდება და რომ რეაქციის აირისგან პროდუქტის მოცულობა ჩვეულებრივ ფარდობაშია თითოეული სანყისი აირის მოცულობებთან.

ჟანგბადითა და წყალბადით ჩატარებულმა პირველივე ცდებმა აჩვენა, რომ ყოველთვის წყალბადის ორი მოცულობა ჟანგბადის ერთ მოცულობასთან შედის რეაქციაში. ამ შედეგმა შესაძლებელი გახადა ფორმულა H_2O-ს გამოყვანა.

გეი-ლუსაკის მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი აირის კანონები დღესაც მის სახელს ატარებს. მეორე კანონი ამბობს, რომ მუდმივი წნევის დროს მოცულობა, აირის აბსოლუტური ტემპერატურის პროპორციულია.

გეი-ლუსაკის ლაბორატორიაში დაიბადა ორგანული ნაერთების უბრალო, მაგრამ ძალზე ზუსტი მეთოდი. მისი წყალობით ქიმიკოსები ამ ნაერთების რაოდენობრივ შემადგენლობას ადგენენ. გეი-ლუსაკს არასდროს დაუნავია უკან წინააღმდეგობებისა ან სიძნელეების წინაშე, პირიქით, ისინი მას მეტ ძალას მატებდა ახალი მეთოდების დამუშავებისა ან ახალი ხელსაწყოების კონსტრუირებისათვის.

ლაბორატორიაში სახიფათო სამუშაოების დროს რამდენჯერმე მძიმედ დაჭრილი და დამწვარი გეი-ლუსაკი გარდაიცვალა იმ ჭრილობის გამო, რომელიც აირების ნარევის აფეთქების დროს მიიღო.

იტალიელ მეცნიერი, ტურინის აკადემიის წევრი, ორდინარული აკადემიკოსი, ტურინის უნივერსიტეტის პროფესორი განათლებით იურისტი გახლდათ. მაგრამ ბავშვობიდანვე გატაცებული იყო ბუნების კანონებით. ბევრს კითხულობდა, ექსპერიმენტებს ატარებდა. მას შემდეგ, რაც მას ტურინის უნივერსიტეტში ფიზიკის კათედრა მიანდეს, ავოგადრომ ხელი მოჰკიდა იმ კითხვის ამოხსნას, რომელიც დიდი ხანი იყო აღელვებდა: როგორ შეეთანხმებინა გეი-ლუსაკის ნაშრომების შედეგები დალტონის ატომურ თეორიასთან.

მრავალრიცხოვანი ცდებისა და აზომვების შედეგად ავოგადრო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მარტივი აირები — ჟანგბადი, წყალბადი, აზოტი ან ქლორი შედგება არა ერთეული ატომებისგან, არამედ ორატომიანი ნაწილაკების მოლეკულებისგან.

სწორედ ავოგადროს ეს გენიალური აღმოჩენა, რომელიც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მთლიანად დადასტურდა, წინააღმდეგობაში მოვიდა ბერცელიუსის მოსაზრებასთან, რომელსაც მიაჩნდა, რომ ნაწილაკებად შეერთება მხოლოდ სხვადასხვა ელემენტების ატომებს შეუძლია. შემდგომი მუშაობის შედეგად ავოგადრომ აღმოაჩინა კანონი, რომლის თანახმად ყველა ნივთიერების ერთნაირი რაოდენობები აირის მდგომარეობაში ერთნაირ პირობებში ერთნაირი რაოდენობის მოლეკულებს შეიცავს. აქედან ერთ გრამ მოლეკულაში აირის მოლეკულების რაოდენობის დათვლამდე ერთი პატარა ნაბიჯიღა იყო. ეს რიცხვი, რომელსაც მეცნიერის საპატივცემულოდ ავოგადროს რიცხვი ეწოდა, უზარმაზარია: 6,024.10 23-ე ხარისხში ანუ 602 და კიდევ 21 ნული. დედამიწის მთელ მოსახლეობას ერთ გრამ მოლეკულაში შემავალი აირის მოლეკულების რაოდენობის დათვლა რომ მოენდომებინა, და ყოველ ადამიანს წამში თითო მოლეკულა გადაეგდო, თვლა რვანახევარი მილიონი წელი გაგრძელდებოდა.

ავოგადროს ჰიპოთეზები და კანონები ბერცელიუსმა და მისმა მოსწავლეებმა არ ცნეს და ისინი თანდათან დავიწყებას მიეცა. მაგრამ მას შემდეგ, რაც დიდ იტალიელ მეცნიერზე ისევ ალაპარაკდნენ, ქიმიის ნებისმიერ სახელმძღვანელოში შეხვდებით კანონებსა და რიცხვებს, რომლებიც ავოგადროს სახელს ატარებს.

ამედეო ავოგადრო (1776-1856)





ადამიანმა უხსოვარ დროში დაიწყო ხიდების გადება-აგება.

მთელ მსოფლიოში მდინარეებზე, არხებზე, ხევებზე, უფსკრულებზე გადებულია ათასნაირი ხიდი – კიდული, აკვედუკი, ბოგირი, საცალფეხო, თაღოვანი, კოჭურ-დოინჯიანი, ორჩხომლიანი, უსახსრო, ბონდის, ორსავალიანი, ორსართულიანი, კონსოლიანი, ირიბი, დახურული, მცირემალიანი, მრავალმალიანი, გადასაგორი, ღია, გადებული, გადასატანი, საბრუნი, ასაწევი, პონტონის, ტივტივა, გასახსნელი, გასართი, კამაროვანი, ოთხფხარა და სხვ.

ხიდის ასაშენებლად სხვადასხვა სახის მასალებს იყენებენ – ლითონს, ქვას, აგურს, თოკს, ხეს... ეს ხიდი კი, რომელიც კერუს აღმოსავლეთ კორდილიერების მთის მდინარე აკურიმაკის ორ ნაპირს აერთებს, ბალახისგან არის დაწნული. ამგვარი დაწვნის ტექნიკა ჯერ კიდევ ინკების დროიდან არის ცნობილი. ხიდს ყოველ წელიწადს აახლებენ.



ჩვენი ხვალინდელი მკითხველი

ძნელი სათქმელია, გიორგის და მარიამს უფრო ენატრებათ მამა, თუ მამას - თავისი ტყუპები. ჯემალ ტყეებუჩავა რამდენიმე თვეა უცხოეთშია

მამიკო, ძალიან, ძალიან გვიყვარხარ!

წასული სამუშაოდ და ტელეფონით თუ ეხმიანება შვილებს, რომლებიც ერთმანეთს არ აცლიან ხოლმე მასთან დალაპარაკებას, უსასრულოდ უმეორებენ ძალიან, ძალიან გვიყვარხარო და ახსენებენ, რა და რა საჩუქრების ჩამოტანას შეპპირდა, მერე დაპირებულს ახლებსაც ამატებენ და თან აჩქარებენ, მალე ჩამოდიო.

მარიამი და გიორგი თბილისში დაიბადნენ, მათი მშობლები კი სოხუმელები არიან. აფხაზეთიდან ლტოლვილებისთვის გამეტებული დახმარება რომ ვეღარ გასწვდა ოჯახის საჭიროებებს, და ვეღარც საქართველოში დასაქმდა, ოჯახის უფროსმა უცხო ქვეყანაში გადაწყვიტა საშოვარზე წასვლა. იქ მძიმე შრომით ნაშოვნი ფულით იმედოვნებენ ტყეებუჩავები წელში გამართვას. მარიამმა და გიორგიმაც იციან, რომ მამიკო იმიტომ არის ახლა შორს, რომ ბინაც იყიდონ, მანქანაც და, რაღა თქმა უნდა, სათამაშოები და ბევრზე ბევრი ნაყინი.

მამის ჩამოსვლამდე კი ლექსებსა და სიმღერებს სწავლობენ, ხოლო თუ სადმე ფორტეპიანოს დალანდავენ, უმალ მიუსხდებიან და უსასრულოდ "ამოწმებენ" შავ-თეთრ კლავიშებს და სანამ დედა არ გაუჯავრდებათ, გეყოფათ, თავი გამისკდაო, არ ჩერდებიან.

ტყუპები ირწმუნებიან, მამიკო ხშირად გვესიზმრება და სულ გვეუბნება ბარბის, ბარბის სახლს, მანქანებს და სხვა სათამაშოებს ჩამოგიტანთო. მერე გაახსენდებათ, რომ ნაყინი დაავიწყდათ, და კიდევ ბევრ ნაყინსო, – აუცილებლად დაამატებენ.

ეს ფოტოსურათებიც მამიკოსთან გასაგზავნად გადაიღეს - ნახე, რამხელები გავიზარდეთო. მიიღებს მამა ამ სურათებს, დაჰკოცნის, გულში ჩაიკრავს.

მერე ალბათ, ცრემლებიც მოადგება, ეს არის ცხოვრება, ასე შორიდან უნდა ვეალერსებოდე შვილებსო?! - გაიფიქრებს და ცოლ-შვილთან მალე დაბრუნების იმედით დაიმშვიდებს გულს.

გიორგი და მარიამი კი ერთმანეთსაც ეტიტინებიან და სხვებსაც გულდაჯერებით აცნობებენ, ჩვენი მამიკო მალე ჩამოვა და სულ ერთად ვიქნებითო. მერე გაიორგი ხმას დაიბოხებს და დარწმუნებით გამოაცხადებს ხოლმე: "მალე გავიზრდები, გავიზრდები და მამიკოს ყველაფერში დავეხმარები!"

ვიქტორინა „ჭკუის კოლოფვებისათვის"

1. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის სიტყვებისა და მუსიკის ავტორია კომპოზიტორი...

ა) ... ზაქარია ფალიაშვილი

ბ) ... კოტე ფოცხვერაშვილი



გ) ... დიმიტრი არაყიშვილი

2. ქალის ქართულ თავმოსახვევს ჰქვია...

ა) ... შალი

ბ) ... მანდილი

გ) ... შარფი

3. ვულკანის მიერ ამოფრქვეულ მასას ეწოდება...



ა) ... ფერფლი

ბ) ... ტალახი

გ) ... ლავა

4. სურათზე გამოსახულია ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთ-ერთი ქალიშვილი...

ა) ... ეკატერინე

ბ) ... სოფიო

გ) ... ნინო

5. იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ მეორე (დავით არჩილის ძე) გარდაიცვალა

ა) ... ქუთაისში

ბ) ... ტრაპიზონში

გ) ... ასტრახანში

ვიქტორინის წინა ტურის სწორი პასუხები:
1. კარლო კოლოდი; 2. ახალციხის რაიონში; 3. რემბრანდტი; 4. ბოლონიაში 5. ხუნდი; 6. პარიზში.

გესმის თუ ვრეკ საკუთარი ძაღლის ენა?



გუცხოობს

შენს ყურადღებას რადაცაზე მიაპყრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეურადღებულია

ალერსიანი, კეთილი, ზრდილობიანია



შენს განკარგულებაშია

გახარებულია

აგრესიულია, აყობს

შეწუხებული და შეშინებულია



მორჩილი, დამცირებულია

თუ:

ძაღლი ფრთხილად გკბენს

იცოდე, რომ მას უყვარხარ! სხვა ძაღლებს რომ ეთამაშება, იგი მაშინაც ასე იქცევა.

ხტუნაობს და ტრიალებს

შენი მოსვლა უხარია და რაღაც გმრიელს ელის შენგან.

გლოკავს

ე. ი. უყვარხარ. ასე იგი მაშინაც იქცევა, როცა რაიმე უსიამოვნება ელის, მაგალითად, ბეწვის გამოვარცხნა.

ცხვირს გიცაცუნებს

შენს ძაღლს კონკრეტული თხოვნა აქვს, მაგალითად: "მომეფერე, ხელი გადამისვი", "ცოტა ძეხვი მომეცი".

ხალისიანად "იცინის"

თავის კეთილმოსურნეობას გაჩვენებს. თითქოს გეუბნება, "ძალიან მიხარია, ისევ რომ გხედავო".

ფეხებთან გიწვება

"ყველაზე უკეთ თავს მხოლოდ შენს გვერდით ვგრძნობო".

თათს გიწვდის

"კეთილი იყავი ჩემ მიმართ". შეიძლება ეს რაიმე თხოვნასაც გამოხატავდეს.

ზურგზე წვება

თუ შენი თხოვნის გარეშე ზედ შენს ფეხებთან გულაღმა წვება, მუცელს გიჩვენებს და წინა თათს აქნევს, ეს იმას ნიშნავს, რომ მოფერებას გთხოვს.

თავს კალთაში გიდებს

საკუთარ ერთგულებას გიმტკიცებს.

მხიარულად აქიცინებს კუდს

უხარია, რომ კვლავ გხედავს.

ძმიერად ოხრავს

შენი დაბრუნებით გამოწვეული აღტაცების შემდეგ იგი შენს მუხლებზე იკალათებს და ოხვრით გამოხატავს სრულ კმაყოფილებას და ნეტარებას.

მაინტერესებს როგორ სძინავთ ცხოველებს, ფრინველებს, თევზებს, მაგალითად, დელფინებს, ზვიგენებს.

ლელა სიკინჭილაშვილი, 10 წლის

ვის როგორ სძინავს

დედამიწაზე არ არსებობს ისეთი სულიერი, რომელიც არ იძინებდეს. იძინებს ყველა: თევზები, ფრინველები, მწერები, ქვეწარმავლები, შინაური თუ გარეული ცხოველები. იძინებს ადამიანიც. ზოგიერთს უძილობა სჭირს და ამტკიცებს, თეთრად ვათენებ ღამეებსო, მაგრამ ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ მცირე ხნით მაათაც სძინავთ, იქნებ სულ რამდენიმე წუთი, ძალიან შფოთიანად, მაგრამ მაინც სძინავთ. ერთი სიტყვით, ძილი ყველასათვის აუცილებელია, უძილოდ შეუძლებელია სიცოცხლე.

მაგრამ არის გამონაკლისიც. მაგალითად, ფუტკარი. სკაში არასოდეს წყდება ფუსფუსი. თუ დღისით ფუტკრები ღალის შესაგროვებლად დაფრინავენ, ღამით "საშინაო საქმეები" აქვთ მოსაგვარებელი: ცვილის უჯრები – ფიჭებია ასაშენებელი, სკას დასუფთავება სჭირდება, დედის მიერ დადებულ კვერცხებს მოვლა-პატრონობა, ხოლო ახალგამოჩეკილ თაობას კარგი კვება და მუდმივი ყურადღება. ჰოდა, ფუტკრებიც მუშაობენ. მუშაობენ გამუდმებით და ალბათ იმიტომაც ცოცხლობენ ასე ცოტა ხანს – სულ რაღაც ორიოდე კვირა. ინგლისელმა ბიოლოგმა არტურ თომპსონმა დაწვრილებით შეისწავლა "უძილო" ფუტკრების ნერვული კვანძები, რომლებიც მათ ტვინის მაგივრობას უწევენ, და ნახა, რომ მათ გადაღლისა და გადაგვარების კვალი ეტყობოდათ. ტვინი აშკარად დაბერებული ჩანდა, თუმცა ფუტკრები ძალზე ახალგაზრდები იყვნენ. ასე რომ, თუ ამქვეყნად მაინც არიან ცხოველები, რომელთაც არ სძინავთ, ისინი უთუოდ ძალზე ცოტა ხანს ცოცხლობენ.

ზოგიერთი ცხოველი, მაგალითად, ღამურა, ოპოსუმი და ლემური გალაგო, ძილის დროს ხმაურით რომ არ შეწუხდნენ, ყურებს დაიცობენ ხოლმე – ყურის ნიჟარებს კეცავენ ან ახვევენ; ფრინველები კი ფრთის ქვეშ მალავენ თავს.

ჩვეულებრივ, ცხოველებმა ფხიზელი ძილი იციან. ცოტა თუ გამოინახება ისეთი, ღრმად ჩაძინების უფლებას რომ აძლევდეს თავს. მცირე ხანს ჩასთვლემენ და მაშინვე თვალებს დაჭყეტენ, ყურადღებით არიან – მტერი არ წამოგვეპაროსო. ჰოდა, ისე გამოდის, რომ ცხოველები ძილისათვის განკუთვნილი დროის უმეტეს ნაწილს თვლემენ.

დადგენილია, რომ იძინებენ ნებისმიერ დროს, როგორც კი ამის საშუალება მიეცემათ. სძინავთ ცოტ-ცოტა ხანს და ხშირად – საშუალოდ 8-10-ჯერ დღე-ღამეში. ასეთივე ხშირი ჩაძინება და გამოღვიძება იციან მინდვრის თაგვებმა, ბაყაყებმა და მრავალმა სხვამ.

არ გეგონოთ, ყველა ცხოველს ამგვარად ეძინოს. არსებობენ ისეთი ცხოველებიც (მათ მონოფაზურ ცხოველებს უწოდებენ), რომლებიც დღე-ღამის ერთ ნაწილს მთლიანად ძილს უთმობენ, მეორეს კი – თავიანთ საქმეებს. ადამიანსაც ხომ ასე სძინავს.

მონოფაზურ ცხოველებს ძალიან ბევრი სძინავთ. მაგალითად, შიმპანზეს – 12-13 საათი, ზოგიერთ ფრინველს – 13-16 საათი. მაგრამ ძილისგუდათა შორის რეკორდი ერთ-ერთი სახეობის გველს ეკუთვნის. ის თურმე შუადღეზე გაიღვიძებს ერთიორი საათით, რომ დანაყრდეს,

და მაშინვე ისევ გულის ძილს მიეცემა მეორე შუადღემდე.

ვინც სად ცხოვრობს, იქვე სძინავს.

ფრინველებს ჰაერში სძინავთ, თევზებსა და წყლის ცხოველებს – წყალში, დანარჩენებს – მიწაზე ან ხეზე. ზოგი გულადმა წევს და ისე იძინებს, ზოგი – გვერდზე. ისეთებიც არიან, ფეხზედგომელა, თავდაყირა დაკიდებული ან მჯდომარე რომ გამოიძინებენ ხოლმე სოროში ან პირდაპირ ღია ცის ქვეშ.

დელფინები ზოგჯერ რამდენიმე დღე-ღამე მისდევენ გემებს. მაშ როდისღა სძინავთ? თურმე ცურვის დროს თვლემენ ნახევარ-ნახევარი წუთით. ბოლო წლებში კი გამოირკვა, რომ ამ ნახევარ წუთსაც დელფინის ტვინის მხოლოდ ერთ ნახევარს სძინავს, მეორე კი ფხიზლობს.

ყველაზე საინტერესო ამ მხრივ, ალბათ, სელაპია. მას ორნაირად სძინავს. ერთი ხერხი ასეთია: სელაპი წყლის ზედაპირზე წვება ისე, რომ მარტო ზურგი უჩანს, ცხვირი კი წყალში აქვს ჩაყოფილი; დროდადრო ნახევრადმძინარე თავს ამოსწევს, ნესტოები ავტომატურად გაეხსნება, რამდენჯერმე ჩაისუნთქავს და თავი ისევ წყალში უვარდება. მეორე ხერხი კიდევ უფრო ორიგინალურია, იგი ინგლისელმა ზოოლოგმა ლოკლიმ აღწერა ერთ-ერთ აკვარიუმში ჩატარებული დაკვირვებების შედეგად. სელაპმა თვალები დახუჭა და ნელ-ნელა დაეშვა ფსკერისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ ფარფლების ოდნავი მოძრაობით ისევ ზევით ამოცურდა. წყლიდან თავი ამოყო და ქშენა დაიწყო; თექვსმეტიოდეჯერ ღრმად ჩაისუნთქა და მერე ისევ ფსკერზე ჩაეშვა. მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალები მაგრად ჰქონდა დახუჭული და მოძრაობა ძალზე შენელებული. ეჭვი არაა, მას ტკბილად ეძინა.

ზღვის ლომებსა და ზღვის წავს – კალანს ზურგზე დაწოლილებს სძინავთ წყლის ზედაპირზე.

წყლის სიღრმეში მცხოვრები თევზები წყალში გაშხლართულები იძინებენ, ფსკერზე მობინადრენი – შლამში ან წყალქვეშა გამოქვაბულებში, პაწია თევზები მარჯნის რიფებს შორს დარჩენილ ხვრელებში მიიყუჟებიან ხოლმე, ციჰლიდების ახალგამოჩეკილ ლიფსტებს კი დედის პირში მოკალათებულებს სძინავთ.

ზვიგენი წყლის ზედაპირზე ამოდის, გვერდზე გადაბრუნდება, თვალებს ხუჭავს და ასე იძინებს. ამიტომ არის, რომ გემები ხშირად ეჯახებიან მძინარე ვეშაპისებრ ზვიგენებს.

ფსკერზე მცხოვრები თევზებიდან ძილის დროს ზოგი გვერდზე წევს, ზოგი რკალივით მოიხრება ხოლმე, ზოგი კი ან თავზე დგას ან ბოლოზე.

წყლის ბინადრებზე კიდევ ბევრი საინტერესო ამბის მოყოლა შეიძლება, მაგრამ ახლა ცოტა ფრინველებზე ვისაუბროთ, იმ ფრინველებზე, ფრენისას რომ სძინავთ.

მეორე მსოფლიო ომის დროს ფრანგი მფრინავი გერმანელთა პოზიციების თავზე მიფრინავდა და ძრავა გამორთო, რომ არ შეენიშნათ. ასე მიიწევდა წინ სამი ათასი მეტრის სიმაღლეზე, რომ უცებ ნამგალა ჩიტების გუნდის შუაგულში ამოჰყო თავი. ირგვლივ უამრავი პატარა შავი ჩიტი იყო ფრთებგაშლილი. უხმოდ, მოჩვენებებივით დასრიალებდნენ ღრუბლებს ზემოთ. სიცოცხლის ნიშანწყალი არც ერთს არ ეტყობოდა, თუმცა მჭიდრო გუნდად იყვნენ შეკრულნი და ყველანი ერთ მხარეს მიფრინავდნენ. ეძინათ. დიახ, ნამგალებს ფრენისას ეძინათ. თვითმფრინავი რომ მიუახლოვდებოდათ, მთვარეულებივით ჩაყვინთავდნენ ხოლმე მის ცხვირწინ და მეორე წამს ისევ ფრთაგაშლილნი მისდევდნენ კუდში.

მფრინავმა ეს ამბავი ერთ ნატურალისტს უამბო და, მანაც ვერ მოისვენა, ვიდრე თვითონ არ გაემგზავრა პატარა თვითმფრინავით მძინარე ნამგალა ჩიტების საძებრად. მართლაც, მეცნიერი არაერთხელ წააწყდა მათ ღამეულ ცაში.

სხვა მეცნიერები ამტკიცებენ, თოლიებსა და ალბატროსებსაც მშვენივრად სძინავთ ხოლმე ზღვის თვალუწვდენ სივრცეებზე გადაფრენის დროსო.

ერთი სიტყვით, ყველას სძინავს, ზოგს დღისით, ზოგს ღამით, ზოგს ნახევარი წუთით, ზოგს თითქმის განუწყვეტლივ; ზოგს დღეში ერთხელ, ზოგს კი ათჯერ. სძინავთ ტკბილად და სიზმრებს ხედავენ. თუმცა არა, სიზმრები მხოლოდ განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ზოგიერთი ძუძუმწოვრის ხვედრია. ფერად სიზმრებს კი, რატომღაც ასე ჰგონიათ, მარტო ადამიანი ხედავსო.

ჰასუხი – ჩვენი

ზაზა სამჭკუაშვილის ფათერაკიანი თავგადასავალი

კომიქსი

მხატვარი
ნინო ორჯონიკიძე

ზაზა სამჭკუაშვილმა კრიზისის გათამაშებაში მგზავრობისურ ქვეყნებში ოდგზაურობის საგზური მოიგო. გზაში თვითმფრინავის ძრავა მწყობრიდან გამოვიდა და ზაზა პარაშუტით გადახტა. უკაცრიელ კუნძულზე დაშვებულმა საგზაო ფოსტა გამოიყენა და ბოთლში ჩადებული წერილი ზღვას გაატანა. წერილი მეკობრეებს ჩაუვარდათ ხელში. მათ ზაზა გემზე აიყვანეს, დაბაღს და გამოსასყიდი მოსთხოვეს. ზაზამ თავის დახსნა მოახერხა. ამის შემდეგ იგი უცნობი ტომით დასახლებულ კუნძულზე აღმოჩნდა...





სიცილის გაკვეთილი

☺ ☺ ☺

გეოგრაფიის მასწავლებელი: ვოვა, იცი რამე პანამის არხის შესახებ?

ვოვა: არა, მასწავლებელო, ჩვენს ტელევიზორში ასეთი არხი არ არის.

☺ ☺ ☺

— ჩვენ ახლა კარნახს დავწერთ და ვინც სამ შეცდომაზე მეტს დაუშვებს, ორიანს მიიღებს. — თქვა მასწავლებელმა.

ყველა წერას შეუდგა. ცოტა ხნის მერე პაულმა კალმისტარი მერხზე დადო და ფანჯარაში ყურება დაიწყო.

— რატომ მიატოვე წერა, პაულ? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— მე უკვე ოთხი შეცდომა დავუშვი.

☺ ☺ ☺

ერთ დღეს ჰანსი სკოლიდან დაბრუნდა და დედას უამბო:

— მასწავლებელმა შეკითხვები მოგვცა და გვითხრა, ვისაც პასუხის გაცემა შეუძლია, ხელი აწიოსო.

მე ხელი არ ავწიე და მისაყვედურა: ჰანს, უკეთ უნდა ისწავლო!

— სწორედ უთქვამს, შვილო, კარგად უნდა ისწავლო და კლასშიც ხელი აწიო ხოლმე.

მეორე დღეს ჰანსმა დედას ახარა, კლასში ერთადერთმა ავწიე ხელიო.

— ყოჩაღ, ჩემო ბიჭუნა, — მიუალერსა დედამ, - რა იკითხა მასწავლებელმა?

— საშინაო დავალება ვის არ შეუსრულებიაო?

☺ ☺ ☺

— დაწერეთ წინადადება: "რაფაზე ყვავილები დგას". სად დგას შემასმენელი?

— რაფაზე.

☺ ☺ ☺

— გესმის, რობერტ, - უთხრა მამამ ვაჟიშვილს, - ჩემთვის შრომა ყოველთვის სიამოვნება იყო. შენ კი გინდა, რომ შენს მაგივრად სხვები მუშაობდნენ!

— მე ისეთი ეგოისტი არა ვარ, მამა, რომ მარტო ჩემი სიამოვნებისთვის ვცხოვრობდე.

☺ ☺ ☺

ავტობუსში:

— ბიჭი, რა, სკოლაში არ გასწავლიან, რომ უფროსებს ადგილი უნდა დაუთმო?

— არ გვასწავლიან. არდადეგები გვაქვს.

☺ ☺ ☺

— როგორ მოხდა, რომ გეოგრაფიის გარდა ყველა საგანში ორიანები გყავს?

— გეოგრაფიაში ჯერ არ გაუძახივარ და იმიტომ.

☺ ☺ ☺

— ბობ, იცი ანბანი? — ეკითხება მასწავლებელი.

— ვიცი, — უპასუხებს ბობი.

— შეგიძლია ყველა ასო ჩამომითვალო?

— შემიძლია.

— აბა, მითხარი, რომელი ასოა "ანის" შემდეგ?

— ყველა ასო "ანის" შემდეგაა, მასწავლებელო.

☺ ☺ ☺

ერთხელ მისტერ ბრაუნი ღამის გასათევად ერთ პატარა სასტუმროში დაბინავდა. ის იყო ჩაეძინა, რომ კარზე კაკუნი გაისმა. ბრაუნი საწოლზე წამოჯდა.

"რა მოხდა?" - იკითხა მან უკმაყოფილოდ.

"დაბლა ამანათია თქვენთვის მოსული, სერ".

"კარგი, იქ იყოს, მე მგონია, შეიძლებოდა დილამდე მოგეცადათ!"

ბიჭი წავიდა. როცა მისტერ ბრაუნს ჩაეძინა, ხელმეორედ გაისმა კაკუნი.

"ეშმაკმა დალახვროს, კიდევ რა მოხდა?" — იკითხა მისტერ ბრაუნმა.

"ის ამანათი თქვენი არ ყოფილა, სერ". — უპასუხა ბიჭმა.

იცოდით, რომ

როცა ჩვენთან 13 საათია, ნიუ-იორკში დილის 4 საათია?

მერიდიანები დედამიწის ზედაპირს 24 საათობრივ სარტყელად ჰყოფს. სარტყელების საზღვრები მერიდიანებს ზუსტად არ მიუყვება, ვინაიდან მხედველობაში მიღებულია სახელმწიფო და ბუნებრივი (მდინარეები, მთაგრეხილები) საზღვრები. თითოეული სარტყელის სიგანე 15°-ს შეადგენს, რაც ერთ საათს შეესაბამება. სარტყელური დრო ეწოდება საშუალო ადგილობრივ დროს მერიდიანზე, რომელიც საათობრივ სარტყელს შუაზე ყოფს. წუთებს მთელ დედამიწაზე ერთნაირად ითვლიან. საუდის არაბეთში ჭეშმარიტი მზის დროით ცხოვრობენ, აქ დროის ათვლა ყოველდღე მზის ამოსვლიდან ხდება. ზოგ სახელმწიფოში მეზობელი საათობრივი სარტყელის დრო მოქმედებს. მაგალითად, ესპანეთი 0 სარტყელში მდებარეობს, მაგრამ 1 სარტყელის ან საშუალოევროპული დროით ცხოვრობს.

ახლა ვნახოთ საღ რომელი საათია, როდესაც

თბილისში 13 საათია

იგივე დროა ბაქოსა და ერევანში.

ვილნიუსში, კიევში, კიშინიოვში, მინსკში, მოსკოვში, რიგასა და ტალინში 12 საათია.

ალმა-ათაში, დუშანბეში, ტაშკენტსა და ბიშკეკში 15 საათია.



ნოვოსიბირსკში 16 საათია.

ირკუტსკში 17 საათია.

ვლადივოსტოკში 19 საათია.

კურილის კუნძულებზე 20 საათია.

კამჩატკაზე 21 საათია.

ჩუკოტკაზე 22 საათია.

ლონდონში, მადრიდსა და პარიზში 9 საათია.

ბერლინში, ბუდაპეშტში, ბელგრადში, რომში, ვარშავაში, ვენაში და პრაღაში 10 საათია.

ბუქარესტში, სოფიასა და ჰელსინკში 11 საათია.

ბომბეიში, დელიში, კალკუტაში 14 საათი და 30 წუთია.

პეკინში 15 საათია.

სან-ფრანცისკოში ღამის პირველი საათია.

ნიუ-იორკში დილის 4 საათია.

კანბერაში - სალამოს 20 საათია.

● თუ დედამ პარკეტის იატაკის ლაქით დაფარვა მოისურვა, შეგიძლია ეს სამუშაო თვითონ შეასრულო სწრაფად და ხარისხიანად. ოღონდ, გირჩევ, ფუნჯს ნუ იხმარ. ჩვარსაჭერში ორი რეზინის ღრუბელი ჩაამაგრე და იმით იმუშავე. ღრუბლები იატაკზე ზოლს არ ტოვებენ, წელში მოხრა ან ჩაცუცქვა არ დაგჭირდება და ლაქის სუნიც ნაკლებად შეგანუხებს.



● ფანჯრის მინების დაგოზვისას ფეხსაცმლის მაშველას (ჯობს ლითონისა) თუ იხმარ, ნამუშევრით კმაყოფილი დარჩები. მაშველას მომრგვალებული ბოლო საგოზს კარგად ასწორებს. ზედმეტ ნაწილს აცლის და თანაბარ ნაკერს ქმნის.



● თუ შენს საბაღე ნაკვეთში კენკროვანი ბუჩქის



ცენტრში მილის ნაჭერს ჩაარჭობ, რომელსაც ზემო წვერში ნახვრეტები აქვს, მერე ზემოდან ხის ან მავთულის წრეს ჩამოაცვამ, რომელსაც რამდენიმე ჭიმით მილს მიამაგრებ, გაგიადვილდება ბუჩქის მარგვლა, სასუქის მიცემა თუ რწყვა. გარდა ამისა, ტოტები მიწაზე აღარ გაწვება და ზამთარში თოვლიც ვეღარ დაამტვრევს.

● საბეჭდი მანქანის ლიტერები ყველაზე უფრო კარგად საღეჭი რეზინით იწმინდება.



ასე რომ, თუ შინ საბეჭდი მანქანა გაქვთ, შეელიე ერთ ცალ საღეჭ რეზინს. იმით გაწმინდე ჭუჭყიანი ლიტერები და ნახავ, რა მადლობელი დაგრჩება დედა თუ მამა.

● კერამიკულ ფილაზე მიმხმარი ზეთის საღებავის ლაქა ძნელი ასაფხეკია. მაღაზიებში ზოგჯერ იყიდება სპეციალური გამხსნელი პრეპარატები. თუმცა შეგიძლია უამისოდაც იოლას გახვიდე: აიღე ნატრიუმის ჰიდროქსიდის (კაუსტიკური სოდა) ოცპროცენტიანი ხსნარი, ამ ხსნარით უხეში ქსოვილის ნაჭერი დაასველე და ლაქას დააფინე. საღებავი დარბილდება და 2-3 საათის შემდეგ სულ ადვილად შეძლებ მის მოფხეკას.

● ვიდრე კედელზე ახალ შპალერს გააკრავდე, ძველი აუცილებლად უნდა ააძრო. ეს კი საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა. ამიტომ ასე მოიქეცი: ნაჭერი დაასველე, კედელს ააფარე და ზედ ცხელი უთო გაუსვი. შპალერი ადვილად აძვრება და დრაცა და ენერგიაც დაგეზოგება.

● თერმოსის გაცვეთილ საცობს ფოლგა გამოახვიე და თერმოსი კიდევ კარგა ხანს გემსახურება.

● ტურისტმა უნდა იცოდეს ჩაჭეჭყილი მათარა როგორ გაასწოროს. ჭურჭელში ნახევრამდე ჩაასხი წყალი, თავი მაგრად დაახურე და ცეცხლზე შედგი. წყალი ადუღდება და მათარას ორთქლი გაასწორებს.

● შარვლის გადანაკეცს შიგნიდან წაუსვი წებო ("პვა", "ორონი") და ქსოვილი აღარ დაიძენძება.



● ფართო ფოტოფირის კოჭას ნუ გადაგდებ — იგი ქლიბის ტარად გამოგადგება.

● ხელსაწყო-იარაღის შენახვის მრავალი წესი არსებობს, აირჩიე, რომელიც უფრო მოსახერხებელი იქნეს შენთვის.





იწილო-მიწილო

ვრცელი



საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით:

1. იუგოსლავიური ფულის ერთეული; 2. ორთქლის მანქანის ცილინდრის შესაზეთი; 3. მართკუთხა სამკუთხედის გვერდი; 4. ხარებთან ბრძოლა; 5. ელექტრობის რაოდენობის საზომი ერთეული; 6. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი; 7. რუსი საბავშვო მწერალი; 8. ფოტოფირის ბუდე; 9. ჭაობის ფრინველი; 10. საპყრობილე, ანუ? 11. სისხლის თხევადი ნაწილი; 12. დიდი გერმანელი პოეტი.

საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით:

1. მესამის გამომრიცხველი ორი მოპირდაპირე დებულება; 2. პლანეტა; 3. ამერიკელი მწერალი; 4. ლირის მსგავსი მუსიკალური საკრავი; 5. ჭიდაობის სახეობა; 6. ლეგენდარული შინაარსის ლექსი; 7. იაპონური ეროვნული ტანსაცმელი; 8. ქალაქი გერმანიაში; 9. ჰორიზონტალური კუთხეების საზომი ხელსაწყო; 10. შუა საუკუნეების ოქროს ფული ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში; 11. ელექტრული წრედის ორი ბოლოდან ერთ-ერთი; 12. ძალოსნობაში სავარჯიშო იარაღი.



აქ მოცემული უჯრედების ვერტიკალურ სვეტებში ჩასვი ევროპის სხვადასხვა ქალაქების სახელები ისე, რომ შედარებით მუქ ჰორიზონტალურ უჯრედებში მიიღო სახელმოხვეჭილი ქართველი პოეტის სახელი და გვარი.

ყურადღებით დააკვირდი ნახატს და გაშიფრავ, რამდენი წლის ყოფილა ეს მამაკაცი.

სურათები მუსიკალური ალბომიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნირვანა

დევიდ ბოუი

ტორლ სნო�g

ნიილ გალანხერი